დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამარ ხეჩიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.
წევრები:
ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ირინე თეთვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ეკატერინე გავაშელიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თაია მამარდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ოლიკო კილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
მარიამი ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ავთანდილ კეჭაყმაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
დავით კიკაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
შორენა კაკაბაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლა.
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	234069138

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასაში.
ფაქტობრივი მისამართი	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასაში.
საფოსტო ინდექსი	2900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sasashi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	579339014

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 25 0000771939 2025 წლის 27 ივნისი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 13 და 14 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასაში 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასაში 1

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლოპროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი სასაში 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 27 ივნისის MES 8 25 0000771939 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 13-14 აგვისტოს განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლაში. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით, პოზიტიურ, აქტიურ და ეფექტურ გარემოში. ვიზიტის პროცესში ზოგადი განათლების ექსპერტების მიერ განხილული იქნა სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ადგილზე იქნა შესწავლილი სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, საქმისწარმოების განხორციელების პროცედურები და სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool). განხორციელდა ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან. საგნობრივმა ექსპერტებმა, ონლაინ რეჟიმში, Teams-ის პლატფორმის საშუალებით განახორციელეს გასაუბრება შესაბამის კათედრების მასწავლებლებთან მეორე სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტისდროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლის საუკეთესო გამოცდილებაა განათლების მიმართულებით როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებლთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროექტში/პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა გახლავთ მცირეკონტიგნტიანი და ემსახურება სამ სოფელს, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში აქტიურად იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სხვადსახვა აქტივობები, როგორც სასკოლო, ისე კლასისა და საგნის ფარგლებში. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში მრავლადაა განთავსებული სხვადასხვა აქტივობის ამსახველი მასალა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საბაზო საფეხური)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საშუალო საფეხური)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლა უნდა ეცადოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისამდე უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხივნების შესაბამისი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წევრების მოძიება.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის	სკოლა უნდა ეცადოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისამდე უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლამ უნდა მიმართოს უფლებამოსილ უწყებას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლა უნდა ეცადოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისამდე მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ, შესაბამისობის გეგმის თანახმად, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვა, რათა სკოლაში და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდეს ვიდეოკამერები, რომლითაც გაკონტროლდება როგორც სკოლის შიდა სივრცე, ისე გარე პერიმეტრი.
ინდიკატორი N3.4.1.3.	**სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**	სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 22 სექტემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის აღჭურვა ვიდეოკამერებით.
ინდიკატორი N3.5.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების**	სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 22 სექტემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სპორტული დარბაზის, გარე სპორტული მოედნის, სველი წერტილების (ცალ-ცალკე მოსწავლეების და თანამშრომლებისთვის) მოწყობა.

	ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	
ინდიკატორი N3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 20 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავება და წიგნადი ფონდის აღრიცხვა.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლა უნდა ეცადოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის სექტემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის ადაპტირება სსსმ და შშმ მოსწავლეებისთვის (პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი).
ინდიკატორი N3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 01 ოქტომბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით (eFlow) სკოლაში შესული განცხადებების რეგისტრაცია.
ინდიკატორი N3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ოქტომბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ვებ. გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება.

ინდიკატორი N3.6.3.4.	**სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**	სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ოქტომბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ვებ. გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება ქართულ ენაზე.
ინდიკატორი N3.6.3.5.	**ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების**	სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ოქტომბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ვებ. გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და ა. შ.

	შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 15 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს **მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე,** 1-2 კლასებში სწავლებისათვის გრიფირებული სახელმძღვანელოს შერჩევა.
სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწე უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობ გათვალისწინებით**	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 22 სექტემბრამდე, უნდა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა სტანდარტის მიხედვით: დაამონტაჟოს სველი წერტილი.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევ უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობ გათვალისწინებით	სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 22 სექტემბრამდე, უნდა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა სტანდარტის მიხედვით: დაამონტაჟოს სველი წერტილი.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს რაიმე სახის ფორმა, რომლითაც მიიღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან, მოახდენს ინფორმაციის ანალიზს და ასახავს შესაბამის დოკუმენტში.
ინდიკატორი 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რაიმე სახის ფორმა, რომლითა მიიღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან, მოახდენ

	გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	ინფორმაციის ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინებ დოკუმენტზე მუშაობის პერიოდში.
ინდიკატორი 1.2.2.1.	**სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**	სასურველია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ განსაზღვროს მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/სტრუქტურული ერთელი.
ინდიკატორი 1.2.2.2.	**მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**	სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს რაიმე სახის ფორმა, რომლითაც მიიღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან, მოახდენს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და შედეგებს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი 3.2.1.2.	**პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**	სკოლამ სასურველია იზრუნოს, რომ პედაგოგთა საჭიროებების გამოვლენის კვლევასა და კოლეგებისთვის უკუკავშირის მიცემას არ ჰქონდეს ზეპირსიტყვიერი სახე და შეიმუშაოს პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების გამოკვეთის ფორმები.
ინდიკატორი 3.3.1.3.	**სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს გასაჩივრების დეტალური პროცედურების ამსახველი დოკუმენტი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას	სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, მაგ: დაწყებითი საფეხური-ბუნებისმეტყველება (3-4 კლასი). სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა. **მათემატიკა:** სასურველია დაწყებით საფეხურზე დავალებების მრავალფეროვნების გაზრდა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი უნარების გამოვლენისა სხვადასხვა ტიპის აქტივობებში. სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხოური ენები:** სასურველია, რომ დაწყებით საფეხურზე, კერძოდ კი რუსული ენის VI კლასის კურიკულუმის სამიზნე ცნებების გრაფაში დაემატოს ცნება-კულტურათა დიალოგი.ხოლო საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, მნიშვნელოვანია აისახოს ძირითადი საკითხის შესაბამისი კონტექსტ მაგალითი და კონკრეტული შედარების მაგალითები. სასურველია, რომ მე-2 კლასის კურიკულუმში და მე-2 კლასის მატრიცაში არ იყოს წარმოდგენილი ცხრილის სახით ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებები, რომელიც არ უკავშირდება რომელიმე ერთ საგანს, ან სამიზნე ცნებას. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიექცეს კომპლექსური დავალების იდეისა და ცნებების სვეტებს. კომპლექსური დავალების იდეის სვეტში დაკონკრეტდეს შესაქმნელი პროდუქტი (ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია), გახდეს მკაფიო და მიუთითდეს დავალებით კონკრეტულად რომელი ცნებები და ქვეცნებები მუშავდება.

		პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში საანბანე პერიოდის წარმართვის პროცესი სასურველია წარმოდგინდეს სრულყოფილად. გამოსაყოფია და გასამართია საანბანე პერიოდის ნაწილი. სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიექცეს სტრუქტურულ ერთეულებს, კონტექსტ მაგალითების სვეტში განთავსდეს ტექსტები, მაგალითები, ბმულები... შესასწავლი ტექსტები საკითხად არ აღიქმება, საკითხი გამომდინარეობს უშუალოდ დავალების პირობიდან, მკაფიო და კონკრეტულია. ურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიაქციეთ სტრუქტურულ ერთეულებს, კონტექსტ მაგალითების სვეტში განთავსდეს ტექსტები, მაგალითები, ბმულები... შესასწავლი ტექსტები საკითხად არ აღიქმება, საკითხი გამომდინარეობს უშუალოდ დავალების პირობიდან, მკაფიო და კონკრეტულია. **ტექნოლოგიები:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასის კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებული სამივე მიმართულება: კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სახელმწიფო ენა: პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში სასურველია გამოიყოს და გაიმართოს საანბანე პერიოდის ნაწილი. კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღებაა გასამახვლებელი კომპლექსური დავალების იდეისა და ცნებების სვეტებზე. კომპლექსური დავალების იდეის სვეტში დასაკონკრეტებელია შესაქმნელი პროდუქტი. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო ცალკეულ კათედრაზე სასურველია იყოს ერთნაირი. მათემატიკა: მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში „სამიზნე ცნებების“ გრაფაში წარმოდგენილია საკითხები და

		ქვეცნებები, რომელიც უნდა გასწორდეს და ჩაიწეროს სამიზნე ცნებები. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი დავალების იდეის სვეტში დაწყებით საფეხურზე დაკონკრეტდეს შესაქმნელი პროდუქტი.
ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, რომ დაწყებით საფეხურზე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლამ კურიკულუმში შეიტანოს მრავალფეროვანი რესურსები, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლამ გაამრავალფეროვნოს სასწავლო რესურსები, რესურსებისა და კონტექსტ მაგალითების სვეტებში დაამატოს ტექსტები, მაგ: ანიმაციის, ფილმების ვიდეო რგოლების, რეპორტაჟების, ინტერვიუების ბმულები, წერილის დღიურის, ესესა და ჩანახატების ნიმუშები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს უკეთ შეასრულოს მასწავლებლის მიერ მითითებული დავალება. ასევე მსგავსი ტიპის დავალებები ჩაშენდეს კურიკულუმის ჩარჩოებში და ამ კუთხით გამრავალფეროვნდეს სასწავლო პროცესი. **მათემატიკა:** სასურველია დაწყებით საფეხურზე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს, კურიკულუმებში თითოეული თემის შესწავლისას კურიკულუმის „სასწავლო რესურსების“ სვეტში აღინიშნოს: ძირითადი სასწავლო რესურსები, მითითებული სახელმძღვანელოს კონკრეტული თავების (თავი, ქვეთავი, გვერდის ნომერი) სახით; დამატებითი რესურსები, მათ შორის ელექტრონული რესურსების მოქმედი ბმულები. სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება.

		ტექნოლოგიები: სასურველია, კურიკულუმის ბოლო (რესურსების) სვეტში დაკონკრეტდეს რესურსები, მაგალითად: School.emis.ge; Scratch.mit.edu, Code.org და ა.შ **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია, რომ სკოლამ კურიკულუმები დამატებითი რესურსებით გაამრავალფეროვნოს, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები, რადგან დამხმარე რესურსების გამოყენებით მოსწავლე უკეთ აღიქვამს შესასწავლ საკითხს . მოცემულ რესურსებზე დაყრდნობით მოსწავლეს იუოლდება მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან დ ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, მასწავლებლებმა შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეიქმნას დაწყებით საფეხურზე თემის ფარგლებში. **სახელმწიფო ენა:** სასურველია დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებმა წარმოდგენილი ტიპის რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშავონ ახალი დავალებები და აქტივობებ

		ტექნოლოგიები: სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბიკა დაეყრდნოს კომპ.ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებულ ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს (ისევე, როგორც განმავიტარებელი შეფასების რუბრიკის შემთხვევაში). ასევე, შესწორდეს წარმოდგენილ დოკუმენტში არსებული, ალბათ, უნებლიე შეცდომა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მოერგოს 10 ბალიან სისტემას, 5 ბალიანის ნაცვლად. **უცხოური ენები:** დაწყებით საფეხურზე, კათედრამ სასურველია დახვეწოს/გააუმჯობესოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლ გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში, ისე როგორც ეს ასახულია საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკებში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** გასათვალისწინებელია, რომ შეფასების რუბრიკები ასევე უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და უნდა იყოს მათ განვითარებაზე ორიენტირებული. **მათემატიკა:** სასურველია, ყველა თემასა და შემოქმედებით დავალებაზე შეიქმნას როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა სტრუქტურა მოიცავს: დავალების აღწერასა და პირობებს, მითითებას სამიზნე ცნებაზე/ სტანდარტის შედეგებზე, რომლებსაც დავალება ემსახურება, შეფასების რუბრიკას ან კრიტერიუმებს.
ინდიკატორი 2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებებ მოვიდეს თანხვედრაში. სკოლამ გაამრავალფეროვნონ აქტივობები და დაგეგმონ სხვადასხვა ტიპის პროექტები.

		უცხოური ენები: მნიშვნელოვანია, რომ დაწყებითი საფეხურის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმებში მიეთითოს საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით. I-II კლასის კურიკულუმში, შემოქმედებითი დავალებები უნდა გაიწეროს სკოლის მიერ შერჩულ სახელმძღვანელოში (Everybody Up) მოცემული ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების შესაბამისად, ხოლო დამატებით გამოყენებული რესურსები მიუთითეთ ძირითად რესურსთან ერთად, შესაბამის გრაფაში. **სახელმწიფო ენა:** სასურვლია, კათედრამ დაწყებით საფეხურზე შეიმუშაოს სასწავლო პროცესზე დაკვირვების, შეფასების რუბრიკები, მათი გამოყენებით განსაზღვროს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. დასკვნები, მიგნებები ასახენ კათედრის შეხვედრის ოქმებში და ანალიზის საფუძველზე განავითარონ, გაუმჯობესონ პროგრამები მომდევნო სასწავლო წლისთვის, გაამრავლფეროვნონ ეფექტურად დანერგილი დავალებებითა და მიზანმიმართული აქტივობებით, სხვადასხვა ტიპის პროექტებით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე კათედრის წევრებმა შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს

		მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **უცხოური ენები:** განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში დაწყებით საფეხურზე (მაგ. I , II კლასი, ინგლისური ენა) სასურველია სამიზნე ცნებები გაიწეროს სრულად, ასევე აღიწეროს, კონკრეტულად რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს მოსწავლისგან - შესასწავლ საკითხთან მიმართებით. დაწყებით საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმებში უნდა დაკონკრეტდეს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ისახავდა მიზნად კონკრეტული დავალება. **ტექნოლოგიები:** სასურველია, მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაეყრდნოს კომპ.ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებულ ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს (ისევე, როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შემთხვევაში). ასევე, შესწორდეს წარმოდგენილ დოკუმენტში არსებული, ალბათ, უნებლიე შეცდომა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მოერგოს 10 ბალიან სისტემას.
ინდიკატორი N2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**ტექნოლოგიები:** სასურველია, კომპიუტერულ ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოების ბოლო, რესურსების სვეტში მეტად მკაფიოდ და ხაზგასმით დაკონკრეტდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული და ინტერვიუების დროს ნაწილობრივ აღნიშნული ელ. ესურსები და პლატფორმები, მაგ: school.emis.ge; Scratch..it.edu; Code.org; KhanAcdemy, YouTube და ა.შ

ინდიკატორი N2.3.1.1.	**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**	სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საბაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, მაგ: ფიზიკა (9კლასი). სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა. **მათემატიკა:** სასურველია საბაზო საფეხურზე დავალებების მრავალფეროვნების გაზრდა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი უნარების გამოვლენისა სხვადასხვა ტიპის აქტივობებში. სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა.
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი დავალების იდეის სვეტში საბაზო საფეხურზე დაკონკრეტდეს შესაქმნელი პროდუქტი. **უცხოური ენები:** სასურველია, რომ რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებების განსაზღვრა მოხდეს

		მეორე უცხოური ენის საბაზო საფეხურის განახლებული სტანდარტიდან გამომდინარე. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიექცეს კომპლექსური დავალების იდეისა და ცნებების სვეტებს. კომპლექსური დავალების იდეის სვეტში დაკონკრეტდეს შესაქმნელი პროდუქტი (ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია), გახდეს მკაფიო და მიუთითდეს დავალებით კონკრეტულად რომელი ცნებები და ქვეცნებები მუშავდება. სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიექცეს სტრუქტურულ ერთეულებს, კონტექსტ მაგალითების სვეტში განთავსდეს ტექსტები, მაგალითები, ბმულები... შესასწავლი ტექსტები საკითხად არ აღიქმება, საკითხი გამომდინარეობს უშუალოდ დავალების პირობიდან, მკაფიო და კონკრეტულია.
ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, რომ საბაზო საფეხურზე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, რომ საბაზო საფეხურზ სკოლამ კურიკულუმში შეიტანოს მრავალფეროვანი რესურსები, იქნებ ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, რომ საბაზო საფეხურზე სკოლამ გაამრავალფეროვნოს სასწავლო რესურსები, რესურსებისა და კონტექს მაგალითების სვეტებში დაამატოს ტექსტები, მაგ: ანიმაციის, ფილმებ ვიდეო რგოლების, რეპორტაჟების, ინტერვიუების ბმულები, წერილ დღიურის, ესესა და ჩანახატების ნიმუშები, რომლებიც დაეხმარება

		მოსწავლეს უკეთ შეასრულოს მასწავლებლის მიერ მითითებული დავალება. ასევე მსგავსი ტიპის დავალებები ჩაშენდეს კურიკულუმის ჩარჩოებში და ამ კუთხით გამრავალფეროვნდეს სასწავლო პროცესი. **მათემატიკა:** სასურველია, საბაზო საფეხურზე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს, კურიკულუმებში თითოეული თემის შესწავლისას კურიკულუმის „სასწავლო რესურსების“ სვეტში აღინიშნოს: ძირითადი სასწავლო რესურსები, მითითებული სახელმძღვანელოს კონკრეტული თავების (თავი, ქვეთავი, გვერდის ნომერი) სახით; დამატებითი რესურსები, მათ შორის ელექტრონული რესურსების მოქმედი ბმულები. სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება.
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია საბაზო საფეხურის ყველა კლასის ყველა სამივე საგანში მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან დ ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, რომ საბაზო საფეხურზ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეიქმნას თემის ფარგლებში. **სახელმწიფო ენა:** სასურველია საბაზო საფეხურზე მასწავლებლებმა წარმოდგენილი ტიპის რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშავონ ახალი დავალებები და აქტივობებ

		უცხოური ენები: საბაზო საფეხურზე, კათედრამ სასურველია, რომ დახვეწოს/გაუმჯობესოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში, ისე როგორც ეს ასახულია საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკებში. **მათემატიკა:** სასურველია, ყველა თემასა და შემოქმედებით დავალებაზე შეიქმნას როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა სტრუქტურა მოიცავს: დავალების აღწერასა და პირობებს, მითითებას სამიზნე ცნებაზე/ სტანდარტის შედეგებზე, რომლებსაც დავალება ემსახურება, შეფასების რუბრიკას ან კრიტერიუმებს.
ინდიკატორი 2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, საბაზო საფეხურის შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში. სკოლამ გაამრავალფეროვნოს აქტივობები და დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის პროექტები. **უცხოური ენები:** მნიშვნელოვანია, რომ საბაზო საფეხურის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმებში მიეთითოს საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით. **სახელმწიფო ენა:** სასურვლია, კათედრამ საბაზო საფეხურზე შეიმუშაოს სასწავლო პროცესზე დაკვირვების, შეფასების რუბრიკები, მათი გამოყენებით განსაზღვროს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. დასკვნები, მიგნებები ასახენ კათედრის შეხვედრის ოქმებში და

		ანალიზის საფუძველზე განავითარონ, გააუმჯობესონ პროგრამები მომდევნო სასწავლო წლისთვის, გაამრავლფეროვნონ ეფექტურად დანერგილი დავალებებითა და მიზანმიმართული აქტივობებით, სხვადასხვა ტიპის პროექტებით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, საბაზო საფეხურზე კათედრის წევრებმა შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **უცხოური ენები:** სასურველია, საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმებში დაკონკრეტდეს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ისახავდა მიზნად კონკრეტული დავალება.
ინდიკატორი N2.3.1.1.	**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**	სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში

ინდიკატორი N2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი საფარი, დამონტაჟდეს ამწოვი კარადა.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, მაგ: ქიმია (10 კლასი). სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა. **მათემატიკა:** სასურველია საშუალო საფეხურზე დავალებების მრავალფეროვნების გაზრდა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი უნარების გამოვლენისა სხვადასხვა ტიპის აქტივობებში. სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა.
ინდიკატორი N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, რომ მე-12 კლასის ისტორიი კურილულუმი წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე

		(საქართველოს და მსოფლიოს ისტორია) ესგ-თი განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. **უცხოური ენები:** სასურველია, რომ ინგლისური ენის XII კლასის კურიკულუმის სამიზნე ცნებების გრაფაში დაემატოს ცნება-კულტურათა დიალოგი. ხოლო საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, მნიშვნელოვანია აისახოს ძირითადი საკითხის შესაბამისი კონტექსტ მაგალითი და კონკრეტული შედარების მაგალითები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიექცეს კომპლექსური დავალების იდეისა და ცნებების სვეტებს. კომპლექსური დავალების იდეის სვეტში დაკონკრეტდეს შესაქმნელი პროდუქტი (ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია), გახდეს მკაფიო და მიუთითდეს დავალებით კონკრეტულად რომელი ცნებები და ქვეცნებები მუშავდება. სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიექცეს სტრუქტურულ ერთეულებს, კონტექსტ მაგალითების სვეტში განთავსდეს ტექსტები, მაგალითები, ბმულები... შესასწავლი ტექსტები საკითხად არ აღიქმება, საკითხი გამომდინარეობს უშუალოდ დავალების პირობიდან, მკაფიო და კონკრეტულია. ურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიაქციეთ სტრუქტურულ ერთეულებს, კონტექსტ მაგალითების სვეტში განთავსდეს ტექსტები, მაგალითები, ბმულები... შესასწავლი ტექსტები საკითხად არ აღიქმება, საკითხი გამომდინარეობს უშუალოდ დავალების პირობიდან, მკაფიო და კონკრეტულია. ურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიაქციეთ სტრუქტურულ ერთეულებს, კონტექსტ მაგალითების სვეტში განთავსდეს ტექსტები, მაგალითები, ბმულები... შესასწავლი ტექსტები საკითხად არ აღიქმება, საკითხი

		გამომდინარეობს უშუალოდ დავალების პირობიდან, მკაფიო და კონკრეტულია. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი დავალების იდეის სვეტში დაწყებით საფეხურზე დაკონკრეტდეს შესაქმნელი პროდუქტი.
ინდიკატორი N2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, რომ საშუალო საფეხურზე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, რომ საშუალო საფეხურზე სკოლამ კურიკულუმში შეიტანოს მრავალფეროვანი რესურსები, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, რომ საშუალო საფეხურზე სკოლამ გაამრავალფეროვნოს სასწავლო რესურსები, რესურსებისა და კონტექსტ მაგალითების სვეტებში დაამატოს ტექსტები, მაგ: ანიმაციის, ფილმების ვიდეო რგოლების, რეპორტაჟების, ინტერვიუების ბმულები, წერილის დღიურის, ესესა და ჩანახატების ნიმუშები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს უკეთ შეასრულოს მასწავლებლის მიერ მითითებული დავალება. ასევე მსგავსი ტიპის დავალებები ჩაშენდეს კურიკულუმის ჩარჩოებში და ამ კუთხით გამრავალფეროვნდეს სასწავლო პროცესი. **მათემატიკა:** სასურველია საშუალო საფეხურზე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს, კურიკულუმებში თითოეული თემის შესწავლისას კურიკულუმის „სასწავლო რესურსების“ სვეტში აღინიშნოს: ძირითადი სასწავლო რესურსები, მითითებული სახელმძღვანელოს კონკრეტული თავების (თავი, ქვეთავი, გვერდის ნომერი) სახით; დამატებითი რესურსები, მათ შორი

		ელექტრონული რესურსების მოქმედი ბმულები. სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება.
ინდიკატორი N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, საშუალო საფეხურის ყველა კლასსა და სამივე საგანში მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან დ ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველა შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, შექმნან კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეიქმნას თემის ფარგლებში. **სახელმწიფო ენა:** სასურველია საშუალო საფეხურზე მასწავლებლებმა წარმოდგენილი ტიპის რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშავონ ახალი დავალებები და აქტივობებ **მათემატიკა:** სასურველია, ყველა თემასა და შემოქმედებით დავალებაზე შეიქმნას როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა სტრუქტურა მოიცავს:დავალების აღწერასა და პირობებს, მითითებას სამიზნე ცნებაზე/ სტანდარტის შედეგებზე, რომლებსაც დავალება ემსახურება, შეფასების რუბრიკას ან კრიტერიუმებს.
ინდიკატორი 2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, საშუალო საფეხურის შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში. გაამრავალფეროვნონ აქტივობები და დაგეგმონ სხვადასხვა ტიპის პროექტები.

		უცხოური ენები: მნიშვნელოვანია, რომ საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმებში მიეთითოს საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ საშუალო საფეხურზე არჩევით საგნად მოსწავლეებს შესთავაზოს მესამე უცხო ენა და არა მეორე უცხო ენა (რუსული ენა), რომელსაც ისედაც სწავლობენ. **სახელმწიფო ენა:** სასურვლია, კათედრამ საშუალო საფეხურზე შეიმუშაოს სასწავლო პროცესზე დაკვირვების, შეფასების რუბრიკები, მათი გამოყენებით განსაზღვროს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. დასკვნები, მიგნებები ასახენ კათედრის შეხვედრის ოქმებში და ანალიზის საფუძველზე განავითარონ, გაუმჯობესონ პროგრამები მომდევნო სასწავლო წლისთვის, გაამრავლფეროვნონ ეფექტურად დანერგილი დავალებებითა და მიზანმიმართული აქტივობებით, სხვადასხვა ტიპის პროექტებით.
ინდიკატორი N2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, საშუალო საფეხურზე კათედრის წევრებმა შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს

		მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **უცხოური ენები:** განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში (მაგ.X, XII კლასი, ინგლისური ენა) სასურველია, სამიზნე ცნებები გაიწეროს სრულად, ასევე აღიწეროს კონკრეტულად რა მოლოდინები აქვს მასწავლებელს მოსწავლისგან - შესასწავლ საკითხთან მიმართებით.
ინდიკატორი N2.3.1.1.	**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**	სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში
ინდიკატორი N2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი საფარი, დამონტაჟდეს ამწოვი კარადა.

VI. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები გაწერილი აქვს სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მისია გახლავთ: მოსწავლეთათვის შეიქმნას კეთილმეგობრული, სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდებზე დაფუძნებული უსაფრთხო სასწავლო გარემო, რათა ხელი შეუწყოს მათი ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებას. არაფორმალური განათლების გაძლიერების ხარჯზე მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს სამოქალაქო ცნობიერება, დაეხმაროს პროფესიულ ორიენტაციაში, განავითაროს ციფრული კომპეტენციები, რათა აღზარდოს სიახლის შეცნობის მსურველი, განათლებული, ტოლერანტი, ემპათიის მქონე, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მოქალაქეები. სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ 2024 წლის 05 სექტემბრის N2 ოქმით.

ინდიკატორი 1.1.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემოს შექმნა. ასევე აქცენტს აკეთებს მოსწავლის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობაზე. ყურადღება არის გამახვილებული არაფორმალური განათლების გაძლიერებაზე. სკოლას განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ: ,,დედაენის დღე", ,,ჩემი წილი დედამიწა", ,,ჩვენ გვინდა მშვიდობა", ,,შემოდგომა", ,,ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი", ,,აფხაზეთი ჩემი ტკივილია", ,,ეროვნული იდენტობისა და ევროპუპი ,უსიკალური აზროვნების საკითხები ფალიაშვილის შემოქმედებაში", ,,ისინი იცავდნენ სამშობლოს", ,,ტოლერანტობა-ჩვენ თანასწორნი ვართ".

ინდიკატორი 1.1.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში, რომელშიც მოცემულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც თავად პედაგოგები, ისე სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები და სკოლის მშობლების ნაწილი. სკოლა გახლავთ მცირეკონტიგენტიანი და მჭიდროდ თანამშრომლობს თემთან. მისიის, ხედვისა და ღირებულების განხილვა ხდებოდა პირადი შეხვედრების დროს და უკუკავშირსაც სკოლა ზეპირსიტყვიერად იღებდა.

რჩევა: სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს რაიმე სახის ფორმა, რომლითაც მიიღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან, მოახდენს ინფორმაციის ანალიზს და ასახავს შესაბამის დოკუმენტში.

ინდიკატორი 1.1.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აწყობენ შეხვედრებს მშობლებთან და მოსწავლეებთან. გარდა ამისა სკოლა სასკოლო დოკუნტაციას სასკოლო საზოგადოებას უზიარებს სოციალური ქსელის საშუალებითაც. 2025-2026 სასწავლო წლიდან სკოლა კიდევ უფრო გააძლიერებს უკუკავშირის მექანიზმებს, დანერგავს სასკოლო საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებთან შეხვედრების ციკლს და

ისაუბრებს მათთან მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები შინაგანაწესთან ერთად მოსწავლეებს წარუდგენენ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველ დოკუმენტს.

ინდიკატორი 1.1.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის საჯაროობის მიზნით სექტემბერში კლასის დამრიგებლები აწყობენ შეხვედრებს მშობლებთან და მოსწავლეებთან. გარდა ამისა სკოლის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია გამოკრულია სკოლის ფოიეში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 1.1.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდებაა - სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლა, რაც შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი 1.1.1.6. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო ასწავლო გეგმა;
- ✓ პედსაბჭოს 2024 წლის 05 სექტემბრის N2 ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ კლასის დამრიგებლის პორტფოლიო;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან;
- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- ✓ ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სოლაში სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 სექტემბრის 02-90/ო ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია. სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში მითითებული აქვს, რომ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში ჩართულები იქნებიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, კერძოდ: სკოლის დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. სკოლის დირექტორისა და პედაგოგების განმარტებით სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხილვა-დამტკიცებამდე აქტიურად ხდებოდა შეხვედრა სასკოლო საზოგადოებასთან (მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან), ისმენდნენ ზეპირსიტყვიერად მათ შემოთავაზებებს, ინტერესებსა და პრიორიტეტებს რის შემდეგაც ხდებოდა

აღნიშნულის გათვალისწინება. ამ ეტაპზე სკოლას მტიკებულების წარმოდგენა არ შეუძლია, თუმცა სამომავლოდ გაითვალისიწნებს.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რაიმე სახის ფორმა, რომლითაც მიიღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან, მოახდენს ინფორმაციის ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინებს დოკუმენტზე მუშაობის პერიოდში.

ინდიკატორი 1.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა გახლავთ შვიდწლიანი. იგი მოიცავს 2024-2031 წლებს. სტრატეგიული განვითარების გეგმა შეთანხმებულია სკოლის პედსაბჭოს მიერ და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მასში მოცემულია შვიდი მიზანი: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებური გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება. თითოეული მიზანი მოიცავს შესაბამის ამოცანებსა და აღნიშნული ამოცანების შესრულების პერიოდს.

სკოლას სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის თავფურცელზე მოცემული შეთანხმებისა და დამტკიცების ოქმების თარიღი არ ემთხვეოდა სკოლის მიერ გადმოგზავნილ სამეურვეო საბჭოსა და პედსაბჭოს იმ ოქმების თარიღებს, რომლებითაც გახლავთ შეთანხმებული და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა. ასევე არ არის მართებულად სამეურვეოსა და პედსაბჭოს ოქმების თარიღები სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმასთან დაკავშირებით, თუმცა სკოლის მიერ აღნიშნული ხარვეზები გასწორდა. დაკორექტირდა შესაბამისი ოქმები.

ინდიკატორი 1.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. იგი განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მასში მოცემული მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმასთან. გარდა ამისა სკოლას შვიდწლიანი განვითარების გეგმაში მოცემული აქვს SWOT ანალიზი. სკოლის დირექტორის

განმარტებით სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოვლენა მოხდა გასული წლის შეფასების შედეგად. იგი ძირითადად ეყრდნობოდა კათედრის ანგარიშებსა და ზეპირსიტყვიერ გამოკითხვებს.
სკოლას მართებულად არ ჰქონდა სამეურვეოსა და პედსაბჭოს იმ ოქმების თარიღები, რომლითაც შეთანხმებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა პედაგოგიური საბჭოს მიერ და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, თუმცა აღნიშნული გამოსწორებულია სკოლის მიერ.
ინდიკატორი 1.2.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, მათი შესაბამისი აქტივობები, აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, აქტივობების შესრულების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები და რესურსები.
ინდიკატორი 1.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 სექტემბრის 02-90/ო ბრძანება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ✓ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 05 სექტემბრის N1 ოქმი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვის შესახებ;

- ✓ სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 04 სექტემბრის N1 ოქმი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. სკოლას დოკუმენტში მოცემული სქემის სახით წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ხუთი ძირითადი ეტაპი, რომელთა შორისაცაა შესრულების მონიტორინგი. დოკუმენტში სკოლას ცალ-ცალკე აქვს გამოყოფილი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონტორინგის საკითხი. დოკუმენტში ცალსახად არ იკითხება თუ ვინ განახორციელებს მონიტორინგს. ხან ფიქსირდება პედაგოგიური საბჭო, ხან დირექცია და ხან დირექტორის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფი. დოკუმენტში მოცემულია, რომ მონიტორინგი განხორციელდება დაკვირვებით, ინტერვიუებით.

რჩევა: სასურველია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ განსაზღვროს მონიტორინგის განმახორციელებელი პირი/სტრუქტურული ერთელი.

ინდიკატორი 1.2.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოცემულია, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას მეთოდოლოგიის შესაბამისად და რომ სასკოლო საზოგადოებისგან იღებს უკუკავშირს სტრატეგიული გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით. სკოლას, დირექტორის 2024

წლის 11 სექტემბრის N02-90/ჟ ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი და შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დებულება. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სასკოლო საზოგადოებიდან მიღებულ უკუკავშირს როგორც წესი ზეპირსიტყვიერი სახე აქვს და ამ ეტაპზე მტკიცებულების სახით რაიმე დოკუმენტი სკოლას არ გააჩნია.

რჩევა: სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს რაიმე სახის ფორმა, რომლითაც მიიღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებისგან, მოახდენს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და შედეგებს წარუდგენს სასკოლო საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს.

ინდიკატორი 1.2.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების საჯაროობას. კათედრები, კლასის ხელმძღვანელები და დირექტორი წარადგენენ ანგარიშს სასკოლო საზოგადოების წინაშე. სკოლა გეგმავს მომავალში აღნიშნული ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ. გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ სკოლის შემდგომი განვითარებისთვის იყენებენ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს. სკოლამ შეხვედრებისა და გამოკითხვების საფუძველზე მოახდინა სკოლის შედეგების გაანალიზება, განსაზღვრა ძლიერ და სუსტ მხარეს. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი. სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოვლენა მოხდა გასული წლის შეფასების შედეგად. სკოლა გეგმავს მომავალში უფრო დახვეწოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება და გამოიყენოს შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 სექტემბრის 02-90/ო ბრძანება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 05 სექტემბრის N1 ოქმი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვის შესახებ;
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 04 სექტემბრის N1 ოქმი სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 სექტემბრის N02-90/ჟ ბრძანება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-90/ქ ბრძანებით. დოკუმენტში მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას აღნიშნულ დოკუმენტში გარდა კანონით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა, რომელსაც წარმოადგენს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დირექცის, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინურ კომიტეტი, შეტანილი აქვს კათედრები, მრჩეველთა საბჭო, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ადმინისტრაცია. დოკუმენტში სკოლას აღწერილი აქვს თითოეული მათგანის ფუნქცია-მოვალეობებიც და ასევე საშტატო ნუსხით განსაზღვრული და არასაშტატო თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც ცალსახად თანხვედრაშია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მოცემულ ფუნქცია-მოვალეობებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები ემთხვევა ზოგადი განათლების კანონში მოცემულ მოვალეობებს.

ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა და პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის განსაზღვრული. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნა ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში განსახორციელებელი საქმიანობის ხარისხიან წარმართვას. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება–მოვალეობები და ვალდებულებები განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქციების დოკუმენტშე, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, ბრძანებებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. თითოეული რგოლი პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ყოველივე ეს ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-90/ქ ბრძანება სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- ✓ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი;
- ✓ სკოლასა და თანამშრომლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი'', რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-90/ყ ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია უზრუნველჰყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანთან და კანონონთან, დაწესებულების მისასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით. ასევე შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. სკოლას გააჩნია პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება კოლეგიალობასა და თანამშრომლობას. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს სკოლის შინაგანაწესის და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლასა და თანამშრომლებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი 3.1.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც პუნქტობრივადაა გაწერილი დასაქმებულის უფლება-მოვალეობები. სკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს სკოლის პერსონალს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში. მასწავლებლის სკოლაში არ ყოფნის შემთხვევაში უმეტეს შემთხვევაში ხდება მისი შეცვლა, რათა სრულფასოვნად განხორციელდეს სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 02-90/უ ბრძანებით. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის საჭიროების მიხედვით შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოძიებასა და შენარჩუნებას. სკოლას ბოლო პერიოდში გამოცხადებული ჰქონდა სკოლის ექთნის ვაკანსია, რომლის საშუალებითაც შეირჩა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად კადრი.

ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლას სკოლის საშტატო ნუსხის განსაზღვრული ჰყავს 16 საშტატო ერთეული, კერძოდ: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი და 13 მასწავლებელი, რომელთაგან სამი უსტატუსოა (ფიზიკა, სპორტი და დაწყებითის მასწავლებლები, რომლების ახლო მომავალში გეგმავენ კვალიფიკაციის დადასტურებას). შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია და შესაბამისად დასაქმებულია 7 ადამიანი, კერძოდ: ერთი ექთანი, ერთი მუშა, ერთი ცეცხლფარეში, ორი დამლაგებელი და ორი დარაჟი (დღი და ღამის). სკოლაში 2024-2025 სასწავლო წელს ირიცხებოდა 24 მოსწავლე. შექმნილია კლას-კომპლექტები, კერძოდ: I-II კლას-კომპლექტი და III-IV კლას-კომპლექტი.

სკოლას არ ჰყავს საქმისმწარმოებელი და ტექნოლოგიების მასწავლებელი. ტექნოლოგიების გაკვეთილებს ატარებენ ფიზიკისა და ისტორიის მასწავლებლები. სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლა მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავს ვაკანსიის გამოცხადებას. სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკარისა და საინფორმაციო მენეჯერის შტატი. მათ მოვალეობებს ასრულებენ პედაგოგები, თუმცა აღნიშნულის შესახებ არ არის გამოცემული ბრძანება ფუნქცია-მოვალეობების დაკისრების შესახებ.

რეკომენდაცია: სკოლა უნდა ეცადოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისამდე უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წევრების მოძიება.

ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპებს, სკოლის სტრუქტურული ერთეულები მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, იყენებენ თანამშრომლობით პრინციპს. სკოლის თანამშრომელთა პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, სხვათა აზრის პატივისცემა და შრომის მიღწევის აღიარება არის მნიშვნელოვანი. თითოეული თანამშრომელი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას. მუშაობენ გუნდურად და იცავენ კოლეგიალობას. თითოეულისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდა და განვითარება.
სკოლაში ტარდება სხვადასხვა შეხვედრები: კათედრის სხდომები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები მართავენ სხვადასხვა არაფორმალურ შეხვედრებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე საჭიროებების მიხედვი, აძლევენ უკუკავშირს. ამავე შეხვედრების ფარგლებში პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ განათლების შესახებ სიახლეებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო ლიტერატურას, მსჯელობენ მოსწავლეთა საჭიროებებზე, სასკოლო თემის საჭიროებებზე და სხვა.
ინდიკატორი 3.1.2.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, როგორიცაა: ისტორია-გეოგრაფიაში მე-8 კლასში. თემა მთის ხალხი და კულტურული ძეგლები; ქართული ენასა და ინგლისურში. მე-5 და მე-6 კლასებში. თემა: ლიტერატურული საღამო/პოეზია და პროზა. მასწავლებლები ატარებენ საერთო პროექტებსა და ღონისძიებებს, რაშიც ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსებით. სკოლაში მოწყობილია შესაბამისი საერთო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის (სამასწავლებლო , ინფორმაციული-ტექნოლოგიების კაბინეტი) რაც ხელს უწყობს მასწავლებლებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას.

ინდიკატორი 3.1.2.6. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი;
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 02-90/უ ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი;
- ✓ სკოლის საშტატო ნუსხა;
- ✓ https://teacherjobs.ge-ზე გამოცხადებული სკოლის ექთნის ვაკანსია;
- ✓ სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტომასალა;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარება. მასწავლებელთა საჭიროებებთან დაკავშირებით ხორციელდება დაკვირვება, გამოკითხვა. სკოლაში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 04 სექტემბრის N1 ოქმით, ხოლო სკოლის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემრის 02-90/ჟ ბრძანებით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი აწარმოებს საგაკვეთილო დაკვირვებას, აკეთებს განმავითარებელ უკუკავშირს და ადგენს საჭიროებებს, კათედრების თანამშრომლობითი მუშაობა ახდენს საჭიროების იდენტიფიცირებას. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის ერთ-ერთი სტრატეგია გახლავთ სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან. გარდა ამისა სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც ერთ-ერთ მიზნად გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ჩამოთვლილია ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული მიზნის მიღწევას. მასწავლებლებს პირად საქმეში განთავსებული აქვთ სხვადასხვა ტრეინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციები.

ინდიკატორი 3.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლის დირექცია ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე. წახალისებულია სკოლაში მასწავლებელთა თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, ე.წ. ,,კრიტიკული მეგობრის ფორმატი“. პერსონალის განვითარების მიზნით სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 04 სექტემბრის N1 ოქმით, დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადამიანური რესურსების ეფექტურად წარმართვა და სკოლაში ისეთი გარეოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის თანამშრომლებს თვითრეალიზებაში. პედაგოგურ საბჭოს 2024 წლის 05 სექტემბრის N2 ოქმით დამტკიცებული აქვსპედაგოგიური საბჭოს დებულება, რომელშიც ყურადღება მახვილდება პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე, სკოლაში სწავლის ხარისხის მუდმივ განვითარებასა და პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარებაზე.

რჩევა: სკოლამ სასურველია იზრუნოს, რომ პედაგოგთა საჭიროებების გამოვლენის კვლევასა და კოლეგებისთვის უკუკავშირის მიცემას არ ჰქონდეს ზეპირსიტყვიერი სახე და შეიმუშაოს პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების გამოკვეთის ფორმები.

ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. მასწავლებლები მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებში, რომლის დამადასტურებელი სერთიფიკატები განთავსებულია მათ პირად საქმეებში. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად იძიებს და აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე.

ინდიკატორი 3.2.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა გარემოსთან ადვილად ადაპტაციის მიზნით ახალ კადრებს (მიმდინარე წელს სკოლას გამოცხადებული ჰქონდა სკოლის ექთნის ვაკანის და აივანა შესაბამისი კადრი) აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, ეხმარება ორგანიზაციის კულტურასთან სწრაფად შეგუებაში. აცნობს სკოლის შინაგანაწესს. სკოლაში ახალი თანამრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია წარმატებით ხორციელდება.

ინდიკატორი 3.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ქმნის მასწავლებლებისთვის კომფორტულ და კოლეგიალურ გარემოს. მასწავლებლები ერთმანეთს მხარ უჭერენ პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში მოქმედებს წახალისების სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. პედაგოგები ჯილდოვდებიან გარკვეული მადლობის სიგელებით. გასულ სასწავლო წესლ სკოლამ წაახალოისა არაერთი პედაგოგები და გადასცა მათ სიგელები.

ინდიკატორი 3.2.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

- ✓ სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 04 სექტემბრის N1 ოქმი, რომლითაც დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტები;
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემრის 02-90/ჟ ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ✓ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა;
- ✓ მასწავლებლებს პირად საქმეები;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პედაგოგურ საბჭოს 2024 წლის 05 სექტემბრის N2 ოქმი, რომლითაც დამტკიცებული აქვსპედაგოგიური საბჭოს დებულება;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლის დირექტორმა საუბრისას აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება წინა წლების გამოცდილებას. სკოლის მართვაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების თითოეული სტრუქტურული ერთეული: მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები. სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლს განაწილებული აქვს თავისი ფუნქცია-მოვალეობები. პრიორიტეტები და განსახორციელებელი აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში, ისე სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ორიენტირებულია სკოლის მისიაზე, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების წევრებზე. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას შინაანწესში, სამოქმედო გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი და ძირითადი პროცესები, ამ პროცესებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის ფუნქციები. სკოლის მიერ SWOT ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნულის გათვალისწინებით გამოკვეთილია პრიორიტეტები და გაწერილია ყოველწლიური სამოქმედო გეგმა და

შესაბამისი აქტივობები. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლას დასახული მიზნების მიღწევაში ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებული მუშაობა.

ინდიკატორი 3.3.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს და მიღებული გადაწყვეტილებით მიმართავს დირექტორს, რაზეც დირექტორი გამოსცემს ინდ. აქტს, დისციპლინური სახდელის შესახებ. დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლაში წლების განმავლობაში არ ჰქონია ადგილი დისციპლინურგადაცდომას და შესაბამისად დისციპლინურ კომიტეტს არ განუხილავს არცერთი ფაქტი.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს გასაჩივრების დეტალური პროცედურების ამსახველი დოკუმენტი.

ინდიკატორი 3.3.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. მასში გაწერილია სასკოლო საზოგადოების უფლებები და მოვალეობები. სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 სექტემბრის 02-88/ა ბრძანებით დამტკიცებულია მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. სკოლას სოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის

02-90/ფ ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმმადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“.

ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ✓ სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციათა ამსახველი დოკუმენტი;
- ✓ სოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-90/ფ ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმმადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი“;
- ✓ მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმმადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 სექტემბრის 02-88/ა ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმომადგენელთან: მშობლებთან, თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას. სკოლის

საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვა კითხები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, ხოლო მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე წლის განმავლობაში ელექტრონულ ჟურნალის საშუალებით. სკოლა შესაბამის უკუკავშირს იღებს მშობლებისგან, მოსწავლეებისგან, ადმინისტრაციისა და დამრიგებლებისგან. უკუკავშირის მოწოდება ძირითადად ხორციელდება ვერბალურად.

ინდიკატორი 3.3.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სასკოლო საზოგადოება პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს და საჭიროების შემთხვევაში დისციპლინური კომიტეტის სახით ჩართულია სასკოლო ცხოვრებაში და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების სხდომებზე განიხილება სხვადასხვა საკითხები, რომლების დაკავშირებულის სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლა ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას როგორც მართვის, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად გაცვლას.

ინდიკატორი 3.3.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სამეურვეო საბჭოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმი (eSchool-ის ბაზა);
- ✓ სკოლის დირექტორის ბძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;

- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ✓ პედსაბჭოს 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის**

განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სოფელ სასაშის საჯარო სკოლა ცდილობს დაიცვას სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი", რომელშიც გაწერილია ის რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას სკოლაში უსაფრთხოების დასაცავად. სკოლის დირექტორის 024 წლის 04 სექტემბრის 02-90/შ ბრძანებით სკოლას დამტკიცებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და საზოფადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტი", რომელშიც გაწერილია უსაფრთოების დაცვის მექანიზმები. სკოლას დირექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის 02-93 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ,,სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი". სკოლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისშივე იქნა შემუშავებული მასწავლებლების მორიგეობის გრაფიკი საგაკვეთილო პერიოდში, რომელიც გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილას და მასწავლებლები ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. სკოლას ყავს 2 დარაჯი, რომლებიც მორიგეობით უზრუნველყოფენ სკოლის შენობისა და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებაზე მონიტორინგს. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა აღჭურვილია ექვსი ცეცხლმაქრით, რომლებიც განლაგებულია კიბის უჯრედებზე და სახანძრო დაფებზე. სკოლას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომელიც ასევე სპეციალურ დაფაზეა განთავსებული. სკოლის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის ტერიტორია შემოღობილია მავთულის ბადით. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112) . გარდა ამისა სკოლაში წესრიგის დაცვის და სხვათა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად აქტიურად კონტროლდება თამბაქოს მოხმარების საკითხი. სკოლას უყავს სკოლის ექთანი, რომელსაც აქვს კაბინეტი, რომელიც მეტ-ნაკლებაა აღწურვილი საჭირო ინვენტარით. სკოლის ექთანი მეთვალყურეობას უწევს მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა ჯანმრთელობას, მონაცემებს ასახვს სპეციალურ ჟურნალში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შენობის გათბობა ხდება შეშის ღუმელების საშუალებით (ბრიკეტებით). სოფელი არ გახლავთ გაზიფიცირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას განცხადებით აქვს უკვე მიმართული შესაბამის ორგანოებთან როგორც სახანძრო უსაფრთხოების, ისე შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის თაობაზე.

რეკომენდაცია: სკოლა უნდა ეცადოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისამდე უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლა უნდა ეცადოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ივნისამდე მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

ინდიკატორი 3.4.1.1. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც ნაწილობრივ აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, კარადები, მედიკამენტების კარადა, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას მოსწავლეებსა და სკოლის თანამშრომლებს, რომელსაც აღრიცხავს სპეციალურ ჟურნალში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარების გამოძახებაც.

ინდიკატორი 3.4.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში, კლასთან ერთად, შემუშავებულია გაკვეთილზე ქცევის წესებს, რომელიც არის პოზიტიური დისციპლინის განხორციელების წინაპირობა. სკოლას ემსახურება ჰყავს ორი დარაჯი, რომელიც ახორციელებს რეგისტრაციას სკოლაში შემომსვლელ ნებისმიერ პიროვნებაზე, ეს კი უზრუნველყოფს მინიმუმამდე დაიყვანოს უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება. სასკოლო საზოგადოებაში დამკვიდრებულია განწყობა, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისაკენ მიმართული ქმედება არ დარჩება სათანადო უკუკავშირის გარეშე. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე.

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგმის თანახმად, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვა, რათა სკოლაში და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდეს ვიდეოკამერები, რომლითაც გაკონტროლდება როგორც სკოლის შიდა სივრცე, ისე გარე პერიმეტრი.

ინდიკატორი 3.4.1.3. სტანდარტთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა ცდილობს უზრუნველყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად მუშაობს სასკოლო საზოგადოება. დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები გამოირჩევიან მაღალი ურთიერთთანამშრომლობითი უნარით. დამრიგებლები კანონმდებლობის შესაბამისად ატარებენ კლასის საათს, სადაც შესაბამისად განიხილება საჭიროების მიხედვით თემები, ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი უკუკავშირების განხორციელება. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არსებობს სანდოობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის ფაქტორები, რაც დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ გარემოზე. თუ კონკრეტულ შემთხვევებში სკოლას არ აღმოაჩნდება უნარი, მართოს არსებული ფსიქო-ემოციური სიტუაცია, მიმართავს შესაბამის ორგანოებს. სკოლაში მოსწავლეთა რეფერირება საჭიროება არ გამოკვეთილა.

ინდიკატორი 3.4.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 2 დამლაგებელი. სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო საშუალებებით, რათა მოხდეს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. სკოლა ფლობს ჰიგიენური საშუალებების მარაგებს. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავესაც, ათავისუფლებს ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან. სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია.

ინდიკატორი 3.4.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის 02-90/კ ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის დოკუმენტი“. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების: მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას. სკოლაში მონაცემები მუშავდება კანონის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით, მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. სკოლას ჰყავს განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი 3.4.1.6. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლა იცავს მოსწავლის/მასწავლებლის/ მშობლის პერსონალურ მონაცემებს. სკოლის ის წარმომადგენლები, რომელთაც წვდომა აქვთ პირად მონაცემებთან იცავენ წესებს უსაფრთხოების მიზნით. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები არის სრულად დაცული. სკოლის მიერ არ ხდება პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება. სკოლა ახდენს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის ასახვას. მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა თანხმობით.

ინდიკატორი 3.4.1.7. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა პერიოდულად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასებას. ამ მიზნით სკოლაში, სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 სექტემბრის 02-88/ა ბრძანებით შექმნილია ,,სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მრჩეველთა საბჭო“. მრჩეველთა საბჭო წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა. აღნიშნულ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია და ხდება რეკომენდაციების შემუშავება.

ინდიკატორი 3.4.1.8. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი“;

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 სექტემბრის 02-90/შ ბრძანება ,,უსაფრთხოებისა და საზოფადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ;
- ✓ სკოლას დირექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის 02-93 ბრძანება ,,სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
- ✓ მასწავლებლების მორიგეობის გრაფიკი;
- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის 02-90/კ ბრძანება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ;
- ✓ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის დოკუმენტი“;
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 სექტემბრის 02-88/ა ბრძანება ,,სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლას გააჩნია ერთი შენობა-ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო რესურსებით. შენობა არის 2 სართულიანი, რომელიც მდებარეობს 8500 კვ . მ. მიწის ფართზე. სკოლა აშენებულია 1965 წელს. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც ნაწილობრივ არის აღჭურვილი სასწავლო რესურსებით: მცირე რაოდენობით კოლბები; მულაჟები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა ნივთები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, ექთნის კაბინეტი, ერთი სველი წერტილი, რომლითაც სარგებლობენ როგორც მოსწავლეები, ისე სკოლის თანამშრომლები (სველი წერტილი გამიჯნულია შიდა ტიხრით და ცალკე შესასვლელია გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის. შესასვლელი საერთო აქვთ), სპორტული დარბაზ, რომელიც საკლასო ოთახშია მოწყობილი. სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია 4 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლაში სულ სწავლობს 24 მოსწავლე. სკოლაში მოწესრიგებულია ელექტროენერგიის მიწოდების სისტემა. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლის გათბობა ხდება შეშის ღუმელებით. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კაბინეტი , რომელშიც განთავსებულია 5 კომპიუტერი და 1 პროექტორი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით და WI-FI მხარდაჭერით. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე არის შემთხვევები როცა სკოლაში ინტერნეტის მოწოდება წყდება, თუმცა სწრაფი რეაგირების შედეგად პრობლემის აღმოფხვრა მალე ხერხდება. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შეიმუშაოს ციფრული განვითარების გეგმა და გააძლიეროს ინტერნეტის ხარისხი დამხმარე ადაპტერებით. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი საფეხურის მოსწავლისთვის საჭირო ინდივიდუალური მერხები. სულას სულ აქვს 30 მერხი და სკამი. სკოლას ავტორიზაცია მოთხოვნილი აქვს 80 მოსწავლეზე, თუმცა მოსწავლეთა რაოდენობის მატების შემთხვევაში სამინისტროს მიართავს კორესპონდენციით და მოითხოვს დამატებით ინვენტარს. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების გარდა სკოლას აქვს 3 კომპიუტერი და2 მრავალფუნქციური პრინტერი, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სკოლის მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია

ინდივიდუალური სასკოლო დაფით. ამჟამად სკოლაში არის 12 ერთეული დაფა. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც მდებარეობს ქვემო ეზოში და სკოლის ეზოს უკავშირდება ბილიკით. აღნიშნული სპორტული მოედანი გახლავთ სარეაბილიტაციო. სკოლას გააჩნია სპორტული ინვენტარი.

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2027 წლის 22 სექტემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სპორტული დარბაზის, გარე სპორტული მოედნის, სველი წერტილების (ცალ-ცალკე მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის) მოწყობა.

ინდიკატორი 3.5.1.1. სტანდარტთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზები, რომელიც საკლასო ოთახშია მოწყობილი, ბიბლიოთეკა. მოსწავლეები და მასწავლებლები სიტემატურად სარგებლობენ სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ბიბლიოთეკა მდებარეობს მეორე სართულზე. ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც სახელმძღვანელოები, ისე მხატვრული ლიტერატურა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლას საშტატო ნუსხით განსაზღვრული არ აქვს ბიბლიოთეკის შტატი. სკოლის დირექტორის განმარტებით ბიბლიოთეკარის მოვალეობას ასრულებს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის 02-90/ლ ბრძანებით სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სკოლის ბიბლიოთეკის დებულება“.

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 20 დეკემბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის წიგნადი ფონდის საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავება და წიგნადი ფონდის აღრიცხვა.

ინდიკატორი 3.5.1.3. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას ამ ეტაპზე არ სწავლობს არც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და არც შეძღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე.

რეკომენდაცია: სკოლა უნდა ეცადოს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის სექტემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ინფრასტრუქტურის ადაპტირება სსსმ და შშმ მოსწავლეებისთვის (პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილი).

ინდიკატორი 3.5.1.4. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა სკოლის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობების დანერგვა. სოციო–კულტურული თვალსაზრისით შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და მიმზიდველი გარემო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა დადებითი ფსიქოლოგიური და ემოციური განწყობის შექმნას. სკოლა აქტიურადაა ჩართული სასკოლო ღონისძიებებსა და ტურნირებში რაიონულ და რეგიონულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას სასკოლო საზოგადოება ყოველდღიურად ზრუნავს სკოლის იერის შენარჩენებაზე და შესაბამისად შექმნილია მიმზიდველი გარემო.

ინდიკატორი 3.5.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ შენობა-ნაგებობის სქემა;
- ✓ სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის 02-90/ლ ბრძანება,,სკოლის ბიბლიოთეკის დებულების“ დამტკიცების შესახებ;
- ✓ სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში 8 მოქმედი პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 5 პერსონალური კომპიუტერი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია

უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით: 1 პროექტორით, 2 პრინტერ-სკანერის აპარატით. სკოლის ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით.

ინდიკატორი 3.6.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

კომპიუტერული ლაბორატორია მუდმივად დაკავებულია საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო პერიოდში. მოსწავლეებს შეუძლიათ ლაბორატორიით სარგებლობა სასკოლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენება მათთვის კომფორტულ ნებისმიერ სივრცეში. მასწავლებლები სამუშაო სივრცედ იყენებდნენ თავისუფალ საკლასო ოთახებს. მასწავლებლებისთვის საზიარო სივრცე მოწყობილია სამასწავლებლოში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. მასწავლებლები სივრცით სარგებლობენ სამუშაოს მოცულობის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-90/ყ ბრძანების თანახმად სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სკოლის მატერიალურ რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობის წესი“.

ინდიკატორი 3.6.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-90/ყ ბრძანება ,,სკოლის მატერიალურ რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- ✓ სკოლის მატერიალურ რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობის წესი;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სკოლა აქტიურად იყენებს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას.

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 01 ოქტომბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით (eFlow) სკოლაში შესული განცხადებების რეგისტრაცია.

ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვასა და საქმისწარმოებაში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. კერძოდ, ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა (eFlow). მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები ასახულია eschool–ის ბაზაში. სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი.

ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელშიც შეტანილია ყველა საჭირო ინფორმაცია მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების შესახებ. ასევე ბაზაში ასახულია მონაცემები კლასების, მასწავლებელთა სტატუსების და სხვა შესახებ. შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი. პროფილის განახლება სკოლის მიერ ხდება საჭიროებების შესაბამისად უწყვეტ რეჟიმში.

ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელ ყველა უწყებას ინფორმაციას. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სრულყოფილ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს, რომელშიც ფინანსურ საკითხებთან ერთად აქცენტები კეთდება სასწავლო პროცესზე. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ აქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საქმისწარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ eSchool-ის, eflow-სა და outlook-ის წარმოების ამსახველი ფოტომასალა;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგებისათვის შექმნილი აქვს სკოლის სოციალური გვერდი. ყველა სიახლე და დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის. სკოლაში მოწყობილია საინფორმაციო სივრცეები კორიდორებში. მშობლების ინფორმირებისთვის იყენებს ელ.ჟურნალს, ასევე თიმსის პლატფორმას.

სკოლა რეგულარულად უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ოქტომბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ვებ. გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება.

ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების, ფორუმების შესახებ. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი კომუნიკაცია. ეს ინფორმაციები ერთნაირად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის, რაც უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობას.

ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობა ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. სკოლა უკუკავშირს ძირითადად იღებს ზეპირსიტყვიერად. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

ინდიკატორი 3.6.3.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ოქტომბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ვებ. გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის ოქტომბრამდე, უნდა უზრუნველყოს სკოლის ვებ. გვერდზე ყველა საჭირო ინფორმაციის განთავსება: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და ა. შ.

ინდიკატორი 3.6.3.5. სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სოციალური გვერდი;
- ✓ ელექტრონული ჟურნალის, teams-ის პლატფორნის და სხვა ამსახველი ფოტომასალა;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სამეურვეო საბჭოს სკოლის დირექტორის წარდგინებით დამტკიცებული აქვს სკოლის ბიუჯეტი. სამეურვეო საბჭოსთან წარდგენამდე სკოლის დირექტორი შეიმუშავებს ბიუჯეტს სასკოლიო საზოგადოების მოსაზრებების და საჭიროების გათვალისწინებით სკოლის ბუღალტერთან ერთად. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. სკოლას დღეის მდგომარეობით აქვს ვაუჩერული დაფინანსება. ეკონომიური შემოსავლები არ გააჩნია. არ აქვს გაიჯარებული არცერთი ფართი. სამომავლოდ სკოლა გეგმავს ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს მონიტორინგის ფორმები და შეფასების ინდიკატორები.

ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს, სადაც გათვალისწინებულია კათედრების და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული საჭიროებების ნუსხა. სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს. ბიუჯეტის პროექტის დამტკცების შემდეგ იწყება მისი შესრულება. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევისა და საჭიროებების საფუძველზე. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა შეადგინოს ისე, რომ ნაკლებად დასჭირდეს ცვლილებების შეტანა. სკოლა ცდილობს სწორად გადაანაწილოს, გააანალიზოს მომდევნო წელში გასახარჯი თანხები.

ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის 2024 და 2025 წლის ბიუჯეტი;
- ✓ სესყიდვების გეგმა;
- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანება შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ შესყიდვის ხელშეკრულება;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტები;
- ✓ ინტერვიუ სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა უფლებების დაცვა. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და აღნიშნული ასახულია 2024 წლის 08 სექტემბრის N2 ოქმში. შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის კანონით გათვაკლისწინებული უფლებები. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობის კომიტეტი, რომელიც აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. შემუშავებული აქვთ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. ასევე, სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-90/ფ ბრძანებით დამტკიცებულია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი", რომელშიც გაწერილი მოსწავლის უფლებები. სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, რომლის წევრები არიან მასწავლებლებიც.

ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან . სკოლის შინაგანაწესის გაცნობა და გაზიარება ხდება მშობელთა კრებაზე , ის გამოკრულია სასკოლო სივრცეში თვალსაჩინო ადგილას. შინაგანაწესის გაცნობა ხელმოწერებით აქვთ დაფიქსირებული სასკოლო საზოგადოებას თავად შინაგანაწესის ბოლო გვერდზე. სამომავლოდ სკოლა

გეგმავს შინაგანაწესის განთავსებას სკოლის ვებ გვერდზე . ყველა მოსწავლესთან კლასის დამრიგებელი განიხილავს მოსწავლეთა უფლებებს და მოვალეობებს კლასის საათის ფარგლებში. ყველა კლასში თვალსაჩინოდაა გამოკრული მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების ამსახველი დოკუმენტი და გასაჩივრების წესი.

ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები. ხელშეკრულებაში მკაფიოდაა გაწერილი მუხლები, რომლებიც იცავს მოსწავლის მიერ განათლების მიღების და უსაფრთხო გარემოში სწავლის პროცესს. დოკუმენტი კანონის ფარგლებში არეგულირებს ურთიერთობას მოსწავლესა და სკოლას შორის. ხელშეკრულებები ინახება მოსწავლეთა პირად

ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

საქმეებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 08 სექტემბრის N2 ოქმი, რომლითაც დამტკიცებულია სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-90/ფ ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი“;
- ✓ მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

- ✓ ფოტომასალა;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-87/ა ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლა აღნიშნული წესის მიხედვით, რეგულაციების დაცვით, ახორციელებს მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვას, კლასის/საფეხურის დაძლევასა და მობილობას. აღნიშნული დასტურდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 მაისის 02-6 ბძანებით, რომლის თანახმადაც პირველი კლასის მოსწავლეები გადაყვანილები არიან მეორე კლასში. სკოლას მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის ფაქტი არ ჰქონია.

ინდიკატორი 4.1.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას დაცული აქვს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის პროცედურები. აღნიშნული ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eflow) წარმოების წესის შესაბამისად. სკოლა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვას. მოსწავლეთა მიერ კლასის დაძლევა აისახება eschool- ის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 4.1.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის დირექტორის განმარტებით 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ თავის მოსწავლეებს შესთავაზა მათემატიკისა და უცხო ენების მიმართულებით მომსახურება, თუმცა მოსწავლეებმა არ გამოთქვეს სურვილი. შესაბამისად სკოლას აღნიშნულ სასწავლო წელს არ განუხორციელებია რაიმე სახის დამატებითი მომსახურება.

ინდიკატორი 4.1.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა სისტემატურად აწვდის სხვადასხვა ინფორმაციას მოსწავლეებს, მათ მშობლებს დამრიგებლებისა და საერთო შეხვედრების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 03 სექტემბრის 02-87/ა ბრძანებ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ.
- ✓ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
- ✓ სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 მაისის 02-6 ბძანება პირველი კლასის მოსწავლეების მეორე კლასში გადაყვანასთან დაკავშირებით.

- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო, კეთილმოწყობილი და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ნაწილობრივ მოწყობილი გარე სპორტული მოედანი. სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 სექტემბრის 02-97 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილი აქვს თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსწავლის ახალ გარემოში ადაპტაციაზე და როგორ უნდა შეუწყოს სკოლამ ხელი, რომ მოსწავლეს გაუადვილდეს ადაპტაცია. დოკუმენტში ცალკე საკითხებადაა გამოყოფილი პირველკლასელთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის წესი.

ინდიკატორი 4.2.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისთვის შექმნილია მეგობრული და მშვიდი გარემო . სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან წინასწარ ხდება მომავალ მოსწავლეთა ვიზიტების დაგეგმვა სკოლაში , სადაც ისინი ეჩვევიან მათთვის მანამდე უცნობ გარემოს და სახალისო აქტივობებში ჩართვით უმარტივდებათ ადაპტაცია სკოლაში. დამრიგებელი ეცნობა ახალ მოსწავლეს და აცნობს მას თანაკლასელებს, ათვალიერებინებს სკოლას, მის ინფრასტრუქტურას, აძლევს მას ინფორმაციას სკოლაში არსებული სერვისებისა და რესურსების შესახებ. სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სკოლამდელი განათლების დაწესებულებასთან, რომელიც არის სოფელში. სხვადასხვა ღონისძიებებზე ხდება აღსაზრდელების მოწვევა და სასკოლო გარეოს გაცნობა.

ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მოსწავლე მუდმივად უწევს სათანადო კონსულტაციას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ეხმარება აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენეენს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, მასწავლებლის ზეპირ თუ წერილობით უკუკავშირს, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, სადაც მოსწავლეებსა და მშობლებს აქვთ საშუალება ნახონ მოსწავლეების აკადემიური შედეგები.

ინდიკატორი 4.2.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეების აქტიური მხარდამჭერია. აცნობს მათ სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას და ხელს უწყობს მათ ჩართულობას. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ ,,ეტალონში". ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი რაიონულ მხატვრულ-შემოქმედებით ღონისძიებაში. სკოლის მოსწავლეებმა რაიონში მეორე ადგილი მოიპოვეს ჭიდაობაში-ძიუდო.

სკოლა მოსწავლეებისთვის, მათი საჭიროებიდან გამომდინარე გამოყოფს სივრცეებს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც მათ შეუძლიათ იდეების რეალიზება.

ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა მუდმივად ახორციელებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლის მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებში, გამოფენებსა და კონკურსებში. 2024 წელს სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე გახდა მეორე ადგილის მფლობელი ძიუდოში, შესაბამის წონით კატეგორიაში. სკოლას ჰყავს, პირველი ადგილის მფლობელი კონკურსში: ,,ბეატლონ სვანეთი 2025“. სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის სკოლის მოსწავლეებმა პირველი ადგილი დაიკავეს ,,საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეექვსე ეროვნულ კონკურსზე, კატეგორიაში ქართული გალობა. სკოლის მიერ აქტიურად ხდება მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება. აჯილდოებენ მათ სპეციალური სიგელებით. სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა მასწავლებლების მიერ დაგეგმილი სხვადსხვა პროექტები.

ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში მოსწავლეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით სკოლა სისტემატურად იღებს უკუკავშირს სასკოლო საზოგადოებიდან შემდეგი მეთოდებით: ხარისხის მართვის ჯგუფის დასწრება გაკვეთილებზე და შესამისი უკუკავშირი; შემაჯამებლის ანალიზი; კათედრების ხელმძღვანელების, კლასის დამრიგებლების ანგარიშები. ზემოხსენებული ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას. გარდა ამისა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება კლასებიდან შემოსული წინადადებების განხილვა. მოსწავლეებისგან უკუკავშირს იღებენ ძირითადად ზეპირსიტყვიერად. თვითმმართელობის მოსწავლეებმა კლასებში გამოიკითხეს და დირექციას მიაწოდეს მათი სურვილები და სკოლა გაითვალისწინებს სამომავლოდ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება მომსახურების გამრავალფეროვნება. კერძოდ სკოლის ბაზაზე იგეგმება ქართული

ხალხური გალობის შემსწავლელი წრის ჩამოყალიბება. აგრეთვე იგეგმება ჭადრაკის შესწავლა პროფესიონალურ დონეზე და მასწავლებლის მოწვევა.

ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 29 სექტემბრის 02-97 ბრძანება სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- ✓ სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ✓ გასაუბრება სკოლის დირექტორთან.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. სკოლას აქვს უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმები. სკოლას აქვს პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებთან მუშაობის გამოცდილება. სკოლას აქვს პრაქტიკა მოიწვიოს მოსწავლეებთან შესახვედრად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც მოსწავლეებთან ატარებდნენ საუბრებს პროფესიის არჩევაზე. სკოლას ჰყავს მე-9 კლასის მოსწავლე, რომელმაც სწავლა უნდა განაგრძოს კადეტთა სამხედრო ლიცეუმში.

ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ასევე ურიგდებათ სხვადასხვა საინფორმაციო ბუკლეტი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან დაკავშირებით და ეძლევათ საშუალება გაეცნონ აბიტურიენტებისთვის განკუთვნილ ცნობარს. მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებს ხდება როგორც სოციალურ ჯგუფში, ასევე მშობელთა კრებაზე. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის მიზნით სკოლის მე-9 და მე-10 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. სკოლა თანამშრომლობს ქუთაისის პროფესიულ სასწავლებელ ,,იბერიასთან", რომელიც სკოლის კურსდამთავრებულებს სთავაზობს სხვადასხვა პროფესიას, კერძოდ: ელექტრიკოსი, შემდუღებელი, სტილისტი, მშენებელი. სკოლამ აღნიშნულ სასწავლებელში მიმდინარე წელს განახორციელა მე-9, მე-10 და მე-12 კლასელების ვიზიტი.

ინდიკატორი 4.2.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლა ცდილობს ყოველი შხვედრის შემდგომ მოსწავლეებს შორის ჩაატაროს ზეპირი გამოკითხვა უკუკავშირის მიღების მიზნით და ეს შდეგები გაითვალისწინოს ამ მიმართულებით მომავალი აქტივობების გდაგეგმვის დროს.

ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი თავი ეხება ინკლუზიურ განათლებას, სადაც სკოლა ზოგადად საუბრობს სპეციალური საგანმანანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეზე, ინდივიდუალურ გეგმაზე და ისგ ჯგუფზე. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, თუმცა შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაოს მათთან მუშაობის ეფექტური მექანიზმი.

ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე.

ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ პედსაბჭოს 2024 წლის 05 სექტემბრის N2 ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს გასულ 2024-2025 სასწავლო წელს სთავაზობდა მხოლოდ ტრანსპორტით მომსახურების სერვისს. აღნიშნული ხორციელდებოდა შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. სკოლა ემსახურება სამ სოფელს. სკოლის მიმდებარე სოფლებიდან ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება სახელმწიფო პროგრამით. საჭიროების შემთხვევაში, დირექციასთან შეთანხმებით, იგივე ტრანსპორტით ხორციელდება მოსწავლეთა გადაადგილება სპორტულ, კულტურულ და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით.

ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ტრანსპორტით მომსახურების სერვისით 2024-2025 სასწავლო წელს სარგებლობდა ექვსი მოსწავლე. სკოლა ემსახურება სამ სოფელს. ესენი გახლავთ თავად სოფელი სასაში, სადაც მდებარეობს სკოლა, სოფელი ლეკოსანდი და სოფელი მებეცი. აღნიშნული მომსახურების გაწევა ხორციელდებოდა ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის 02-90/დ ბრძანებით სკოლას განსაზღვრული ჰყავს მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ყოველდღიურად ახორციელებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. სკოლა ასევე ყოველდღიურად აწარმოებს მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების ტაბელს, რომელშის მოცემულია მოსწავლეების სკოლაში მოყვანა და სკოლიდან წაყვანა და ასევე ყოველთვიურ ტაბელს, სადაც სკოლის დირექტორისა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ხელმოწერით დასტურდება მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი 4.2.4.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 02 სექტემბრის 02-90/დ ბრძანება სკოლაში მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ✓ მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების ყოველდღიური ტაბელი;
- ✓ მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ყოველთვიური ტაბელი;

- ✓ გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას და ასევე კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით ნათელია, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები , შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ინდიკატორი 2.1.1.1. სტაბდარტთან შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმში სკოლას ასახული აქვს თუ რა ინტერესი, შეხედულებები, საჭიროებები, შესაძლებლობები აქვთ სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, მოსწავლეთა, მასწავლებელთა უკუკავშირი, მიგნებები, რეფლექსიები.

ინდიკატორი 2.1.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ სასაშის საჯარო სკოლაში ზიტის პერიოდში მასწავლებლებთან გასაუბრებისას ცალსახად გამოიკვეთა კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგდოების ჩართულობა. ნათელია, რომ კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობდა სკოლის ყველა მასწავლებელი, სკოლის დირექცია, მშობლები. სკოლამ აღნიშნა, რომ სასკოლო

საზოგაედოების ჩართულობა იყო მნიშვნელოვანი, რათა მაქსიმალურად ყოფილოყო გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში მასწავლებლები იზიარებენ სასკოლო კურიკულუმის ზოგად ჩარჩოს, შეთანხმებულნი არიან შეფასების მოდელთან, რომელიც ითვალისწინებს განმსაზღვრელი შეფასების დაწერას საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ სამუშაოებში. სკოლის ყველა მასწავლებელს გათავისებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები.

ინდიკატორი 2.1.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *კათედრის ოქმები;*
- *მშობლების შეხვედრის ოქმი არჩევითი საგნების და მეორე უცხოური ენის არჩევაზე;*
- *პედ.საბჭოს ოქმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან მასში ასახულია თუ რა თემებს, საგნობრივ საკითხებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. საგნობრივ კურიკულუმებში რამდენიმე თემის ფარგლებში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს (ერთ ან რამდენიმე სამიზნე ცნებას). **რჩევა:** სამივე საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, მაგ. დაწყებითი საფეხური-ბუნებისმეტყველება(3-4კლასი), ფიზიკა(9კლასი), ქიმია (10 კლასი). სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა. **ინდიკატორი 2.1.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მართალია, დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა,რომ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად იგეგემება არაფორმალური აქტივობები - ექსკურსიები და სასკოლო ღონისძიებები.

	ინდიკატორი 2.1.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეულია მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტები, დაგეგმილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზე მუშაობისას მოსწავლეს დასჭირდება მაღალი სააზროვნო უნარები და ცოდნის ინტეგრირება. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კათედრის წევრები ეყრდნობიან გასული წლის შედეგების ანალიზს და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, აკადემიურ საჭროებებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში და საშუალო საფეხურის პროექტების აღწერაში შუალედური (საკითხები,თემები,კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან და საეტაპო აქტივობებიდან გამომდინარე, სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.1.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წამოდგენი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზაა, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მორგებულია მათ საჭიროებებზე. სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში აღნიშნულია სხვადასახვა ტიპის შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომლებიც მრავალფეროვანი პროდუქტის

	შექმნას ისახავს მიზნად. მსგავსი ტიპის დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს მრავალმხრივ განავითრონ სხვადასხვა უნარ-ჩვევები. **ინდიკატორი 2.1.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისგან, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობას. კურიკულუმებში იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის განხორციელების მცდელობა: დავალებები შერჩეულია ისე, რომ დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებთან და რეალურ გარემოსთან. შემოქმედებითი დავალებები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას განივითარონ სხვადასხვა უნარ-ჩვევები, მათ შორის კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა. **რჩევა**: სასურველია დავალებების მრავალფეროვნების გაზრდა სამივე საფეხურზე, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი უნარების გამოვლენისა სხვადასხვა ტიპის აქტივობებში. სასურველია კათედრამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმა. **ინდიკატორი 2.1.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლო უნდა

	იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებებ მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლ გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასი) მიზნად ისახავს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტების განხორციელებას და მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განვითარებას. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და შუალედურ მიზნებად მოიცავს სამიზნე ცნებებსა და კომპლექსური დავალებების იდეებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ეს ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებასა და გამთლიანებულ სწავლებას. კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს სტანდარტის 3 მიმართულებას: კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინფორმაციულ და ციფრულ წიგნიერებას, და სამიზნე ცნებების სრულ სპექტრს. რესურსების შერჩევა ემყარება გრძელვადიან მიზნებს და სწავლება ეფუძნება მოსწავლის მოტივაციასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან შედეგებზე, რომლებიც განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები და შინაარსი იქმნება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით. მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი მიდგომით, რომელიც აერთიანებს ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და ლოგიკურ-ალგორითმული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.1. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*დაწყებით საფეხურზე შემავალი საგნების* კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას მასში განხილული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება.

	ინდიკატორი 2.1.2.1. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, შერჩეული და განხორციებულია დავალები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილ აქტივობებს და ინტეგრირდება კურიკულუმთან. **რჩევა:** კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი დავალების იდეის სვეტში სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს შესაქმნელი პროდუქტი. **ინდიკატორი 2.1.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მუშავდება ყველა თემა, თემის ფარგლებში -სამიზნე ცნებები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მუშავდება ნაწილობრივ, კომპლექსური დავალებებით. მასწავლებლელთა აღნიშვნით, სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგმავენ იმ საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე კურიკულუმში ასახული არ არის, რადგან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების,

	იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას. **რჩევა:** მე-12 კლასის ისტორიის კურილულუმი წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე (საქართველოს და მსოფლიოს ისტორია) ესგ განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით **ინდიკატორი 2.1.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები და რესურსები, რაც ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. **რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა, რომ რუსული ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებების განსაზღვრა მოხდეს მეორე უცხოური ენის საბაზო საფეხურის განახლებული სტანდარტიდან გამომდინარე. ასევე, ინგლისური ენის XII და რუსული ენის VI კლასის კურიკულუმის სამიზნე ცნებების გრაფაში დაემატოს ცნება-კულტურათა დიალოგი. ხოლო საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, მნიშვნელოვანია აისახოს ძირითადი საკითხის შესაბამისი კონტექსტ მაგალითი და კონკრეტული შედარების მაგალითები. **რჩევა:** სასურველია, რომ მე-2 კლასის კურიკულუმში და მე-2 კლასის მატრიცაში არ იყოს წარმოდგენილი ცხრილის სახით ზესაგნობრივი (მაკრო) ცნებები, რომელიც არ უკავშირდება რომელიმე ერთ საგანს, ან სამიზნე ცნებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში და საშუალო საფეხურის პროექტების აღწერაში შუალედური (საკითხები,თემები,შემოქმედებითი დავალებები) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით შერჩეული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც გამოკვეთილია თუ როგორ უნდა დამუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, შემიძლია დავასკვნა, რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.1.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები ადასტურებს, რომ სახელმწიფო ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ყველა კლასის ჩარჩოში აღნიშნულია შუალედური და გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები), საკითხები, თემები, სავალდებულო თემატური ბლოკები. **რჩევა:** კურიკულუმის ჩარჩოებში, სამივე საფეხურზე, ყურადღება მიექცეს კომპლექსური დავალების იდეისა და ცნებების სვეტებს. კომპლექსური დავალების იდეის სვეტში დაკონკრეტდეს შესაქმნელი პროდუქტი (ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია), გახდეს მკაფიო და მიეთითოს ამ დავალებით კონკრეტულად რომელი ცნებები და ქვეცნებები მუშავდება. პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში საანბანე პერიოდის წარმართვის პროცესი წარმოდგინდეს სრულყოფილად. კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღება მიაქციეთ სტრუქტურულ ერთეულებს, კონტექსტ მაგალითების სვეტში განთავსდეს ტექსტები, მაგალითები, ბმულები... შესასწავლი ტექსტები საკითხად არ აღიქმება, საკითხი გამომდინარეობს უშუალოდ დავალების პირობიდან, მკაფიო და კონკრეტულია. **ინდიკატორი 2.1.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**

მათემატიკა	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები. ყველა კლასში თითოეულ თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი 2.1.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულიმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა, აღსანიშნავია ორიგინალური, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული დავალებები. ინტერვიუში მასწავლებლებმა აღწერეს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს **რჩევა:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის თითოეული კლასის კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებული სამივე მიმართულება: კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები ძირითადად დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და ითვალისწინებს სავალდებულო თემებს. სწავლების პროცესი ცოდნის აგების პრინციპზეა დაფუძნებული. შუალედური მიზნებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა. **რჩევა:** სახელმწიფო ენა: პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოში სასურველია გამოიყოს და გაიმართოს საანბანე პერიოდის ნაწილი. კურიკულუმის ჩარჩოებში ყურადღებაა გასამახვლებელი კომპლექსური დავალების იდეისა და ცნებების სვეტებზე. კომპლექსური დავალების იდეის სვეტში დასაკონკრეტებელია შესაქმნელი პროდუქტი. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო ცალკეულ კათედრაზე სასურველია იყოს ერთნაირი. მათემატიკა: მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში „სამიზნე ცნებების“ გრაფაში წარმოდგენილია საკითხები და ქვეცნებები, რომელიც უნდა გასწორდეს და ჩაიწეროს სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი 2.1.2.2. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში (ცხრილებში) სავალდებულო

	შესასწავლი თემების ყველა ძირითადი საკითხის მიმართ განსაზღვრული იყო ძირითადი რესურსის (გრიფირებული სახელმძღვანელოს) გვერდები, არსებულ დამატებით რესურსებთან დაკონკრეტებული ელექტრონული მისამართები. **რჩევა:** სასურველია დამხმარე რესურსების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი 2.1.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები: ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, თემატური რუკები. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს ეძლევათ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები და შესაბამისად პედაგოგები წარმატებით ახორციელებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. **რჩევა:** კურიკულუმში სამივე საფეხურთან მიმართებაში შეიტანონ მრავალფეროვანი რესურსები, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები **ინდიკატორი 2.1.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესის განმავლობაში კათედრა იყენებს შემდეგი ტიპის საგანმანათლებლო რესურსებს : გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა მაგ. გრამატიკული საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დამახსოვრების მიზნით ,

	საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოებები, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში და საშუალო საფეხურის პროექტების აღწერაში მითითებული რესურსებიდან ასევე სკოლის მიერ მოწოდებული საეტაპო აქტივობებიდან და განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებიდან და პროექტებიდან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.1.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ადასტურებს, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურუკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებს, კურიკულუმის ჩარჩოში რესურსების სვეტში აღნიშნული ბმულები, ტექსტები, კონტექსტ მაგალითები ნამდვილად ორიენტირებულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. **რჩევა:** კარგი იქნება სკოლამ სამივე საფეხურზე გაამრავალფეროვნოს სასწავლო რესურსები, რესურსებისა და კონტექსტ მაგალითების სვეტებში დაამატონ ტექსტები, მაგ: ანიმაციის, ფილმების, ვიდეო რგოლების, რეპორტაჟების, ინტერვიუების ბმულები, წერილის, დღიურის, ესესა და ჩანახატების ნიმუშები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს უკეთ შეასრულოს თქვენ მიერ მითითებული დავალება. ეეცადეთ მსგავსი ტიპის დავალებები ჩააშენოთ კურიკულუმის ჩარჩოებში და ამ კუთხით გაამრავალფეროვნოთ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.1.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**

მათემატიკა	მათემატიკის კათედრამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც შექმნილია სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **არგუმენტირებული პოზიციისას** კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოადგინა განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით, რომლებიც მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევის შეფასებაზე. **რჩევა**: სასურველია, ყველა თემასა და შემოქმედებით დავალებაზე შეიქმნას როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა სტრუქტურა მოიცავს:დავალების აღწერასა და პირობებს, მითითებას სამიზნე ცნებაზე/ სტანდარტის შედეგებზე, რომლებსაც დავალება ემსახურება, შეფასების რუბრიკას ან კრიტერიუმებს. **ინდიკატორი 2.1.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უმეტესწილად, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

	რჩევა: სასურველია, კურიკულუმის ბოლო (რესურსების) სვეტში დაკონკრეტდეს კონკრეტული რესურსები, მაგალითად: School.emis.ge; Scratch.mit.edu, Code.org და ა.შ **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესწილად ასახულია ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), დამატებითი რესურსები: ელექტრონული რესურსი, დამატებითი სახელმძღვანელო,მოსწავლეთა ხელით შექმნილი პროდუქტები კი ნაკლებად, თუმცა დაწყებითი კლასების მასწავლებლებს საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსები აქვთ შექმნილი **რჩევა:** სკოლას მიეცეს რჩევა, რომ დამატებითი რესურსებით გაამრავალფეროვნონ კურიკულუმები. იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის მათ მიერ დამზადებული რესურსები, რადგან დამხმარე რესურსების გამოყენებით მოსწავლე უკეთ აღიქვამს შესასწავლ საკითხს . მოცემულ რესურსებზე დაყრდნობით მოსწავლეს უიოლდება მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი 2.1.2.3. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სრულად არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეულ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი.

	განხილული, გაანალიზებული, შერჩეული, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები კლასებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად ჩაშენებულია კურიკულუმებში, სკოლაში ამ ეტაპზე არ სწავლობს სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი 2.1.2.4. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. მოცემული კომპლექსური დავალებებით მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავისი უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი 2.1.2.4. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სასკოლო კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ იძლევა დიფერენცირების შესაძლებლობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ამის დასტურია საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური, შემოქმედებითი ბუნების დავალებები. მასწავლებლები გასაუბრებაზეც ადასტურებენ, რომ ხდება სასწავლო რესურსების და აქტივობების მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი 2.1.2.4. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი სკოლაში ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. შექმნილია გარემ რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებ შესაძლებლობები. სკოლაში ამ ეტაპზე არ სწავლობს სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი 2.1.2.4. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მათი ხედვა დიფერენცირებულ მიდგომებთან დაკავშირებით. გასაუბრების დროს აღინიშნა რამდენიმე მაგალითი დავალებისა და აქტივობების ადაპტირებისა. რამდენიმე დავალების პირობაში მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აერჩიათ შესაქმნელი პროდუქტი. ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება. **ინდიკატორი 2.1.2.4. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობას და ცდილობენ მისი ეფექტიანად გამოყენებას სასწავლო პრაქტიკაში. ამ ეტაპზე სკოლაში არ სწავლობს სსსმ მოსწავლე. დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები კი უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის და მზაობის მსწავლელის ინტერესების გათვალისწინებასა და ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.4. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**

სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი 2.1.2.4. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	საგან „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი,რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებას. ინტერვიუში პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს და სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მათ აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მისთვის ეფექტური გზებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. მოცემულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით მოსწავლეს შეუძლია თავისი უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი 2.1.2.4. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინფორმაცია სკოლის შეფასების სისტემის შესახებ. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. **რჩევა:** სამივე საფეხურზე, ყველა კლასსა და ყველა საგანში სასურველია მომზადდეს სამიზნ ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან დ ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ ყველ შემოქმედებითი დავალების ფარგლებში, რომელიც განხორციელდება, შექმნან კურიკულუმშ შეტანილი ყველა თემის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი 2.1.2.5. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მტკიცებულების სახით დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **რჩევა:** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეიქმნას სამივე საფეხურზე თემის ფარგლებში **ინდიკატორი 2.1.2.5. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**

უცხოური ენები	დაწყებითი და საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების კომპონენტები არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, შესაბამისად ის ვერ დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ზოგ შემთხვევაში განსაზღვრავს თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ თითოეულ ქვესაკითხთან დაკავშირებით (მაგ. ინგლისური ენა III,IV.V კლასის კურიკულუმი), თუმცა ზოგ შემთხვევაში, რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა. **რჩევა**: დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კათედრამ დახვეწოს/გააუმჯობესოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში, ისე როგორც ეს ასახულია საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკებში. **ინდიკატორი 2.1.2.5. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.1.2.5. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით სკოლა ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში

	(ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული). **რჩევა:** სასურველია, სკოლამ სამივე საფეხურზე მსგავსი ტიპის რუბრიკები გამოიყენოს მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშაოს ახალი დავალებები და აქტივობები. **ინდიკატორი 2.1.2.5. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც შექმნილია სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **არგუმენტირებული პოზიციისას** კათედრამ დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოადგინა განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საფეხურების მიხედვით, რომლებიც მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევის შეფასებაზე. **რჩევა**: სასურველია, ყველა თემასა და შემოქმედებით დავალებაზე შეიქმნას როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა სტრუქტურა მოიცავს:დავალების აღწერასა და პირობებს, მითითებას სამიზნე ცნებაზე/ სტანდარტის შედეგებზე, რომლებსაც დავალება ემსახურება, შეფასების რუბრიკას ან კრიტერიუმებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა,

	მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი 2.1.2.5. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	პედაგოგებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, პედაგოგები იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს; თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არ მიემართება მე-3 თაობის ესგ-თი და კომპ.ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, თანაც რუბრიკა შედგენილია 5 ბალიანი შეფასების სისტემის მიხედვით. **რჩევა:** სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბიკა დაწყებით საფეხურზე დაეყრდნოს კომპ.ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებულ ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს (ისევე, როგორც განმავიტარებელი შეფასების რუბრიკის შემთხვევაში). ასევე, შესწორდეს წარმოდგენილ დოკუმენტში არსებული, ალბათ, უნებლიე შეცდომა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მოერგოს 10 ბალიან სისტემას, 5 ბალიანის ნაცვლად.

	ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ნიმუშები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების ინდიკატორებს. ნიმუშები დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია რამდენიმე საგნის (ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და ლიტერატურა) მიხედვით. შეფასების რუბრიკები მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს . **რჩევა:** გასათვალისწინებელია, რომ შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე ასევე უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და უნდა იყოს მათ განვითარებაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი 2.1.2.5. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ამსახველი მასალა
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები

- რამდენიმე კომპლექსური დავალების ბარათი
- კომპლექსური დავალების რამდენიმე დანართი
- ერთი და იგივე კომპლექსური დავალების რამდენიმე ვარიაციის ნიმუში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. სკოლის მიერ შექმნილ ჩარჩოებში საბუნებისმეტყველო კათედრას საგნობრივი კურიკულუმის სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, სკოლის წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია სხვადასხვა აქტივობები. **რჩევა**: სამივე საფეხურის შემოქმედებითი დავალების ბარათებში, თემატურ მატრიცებსა და კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები მოვიდეს თანხვედრაში. გაამრავალფეროვნონ აქტივობები და დაგეგმონ სხვადასხვა ტიპის პროექტები. **ინდიკატორი 2.2.1.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად,საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი და საინტერესო კომპლექსური დავალებები,რომელიც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები,მასწავლებელთა გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის ასევე მათი სამომავლო ხედვა,ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების ,როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე.მასწავლებლებმა გასაუბრების შედეგად აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესში ვერ განხორციელდა ყველა დაგეგმილი კომპლექსური დავალება, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების გამო, კათედრაზე იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში,საჭიროების

	შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება. რაც საგნობრივი პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას ემსახურება. **ინდიკატორი 2.2.1.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კურიკულუმებში გაწერილი საკითხები და კომპლექსური დავალებები თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებთან. კურიკულუმებში ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები. კონკრეტული შუალედური მიზნებით მოსწავლეები შეძლებენ მიაღწიონ გრძელვადიან მიზნებს . ამასთანავე განსაზღვრულია რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ სამივე საფეხურის ინგლისური და რუსული ენის საგნობრივ კურიკულუმებში მიუთითოთ საათობრივი განაწილება თითოეულ თემასთან მიმართებით. **რჩევა:** I-II კლასის კურიკულუმში, შემოქმედებითი დავალებები უნდა გაიწეროს თქვენს მიერ შერჩულ სახელმძღვანელოში (Everybody Up) მოცემული ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების შესაბამისად, ხოლო დამატებით გამოყენებული რესურსები მიუთითეთ ძირითად რესურსთან ერთად, შესაბამის გრაფაში. **რჩევა:** მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ საშუალო საფეხურზე არჩევით საგნად მოსწავლეებს შესთავაზოს მესამე უცხო ენა და არა მეორე უცხო ენა (რუსული ენა), რომელსაც ისედაც სწავლობენ. **ინდიკატორი 2.2.1.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სახვითი ხელოვნების და მუსიკის დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმით გაწერილი განვლილ სასწავლო წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებიდან, ასევე საშუალო საფეხურის

	განხორციელებული პროექტებიდან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.1.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, ვიზიტის დროს აღბეჭდილ ფოტო მასალაში წარმოდგენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული რამდენიმე შემოქმედებითი ბუნების დავალებების ნიმუშები. ოქმებში რამდენიმე წინადადება მიანიშნებს სასწავლო პროცესის ამ მიმართულებით წარმართვაზე. **რჩევა:** სასურველია, კათედრაზე სამივე საფეხურისთვის შემუშავდეს სასწავლო პროცესზე დაკვირვების, შეფასების რუბრიკები, მათი გამოყენებით განსაზღვროთ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, დასკვნები, მიგნებები ასახეთ კათედრის შეხვედრის ოქმებში და ანალიზის საფუძველზე განვითარდეს, გაუმჯობესდეს პროგრამები მომდევნო სასწავლო წლისთვის, გამრავალფეროვნდეს ეფექტურად დანერგილი დავალებებითა და მიზანმიმართული აქტივობებით, სხვადასხვა ტიპის პროექტებით. **ინდიკატორი 2.2.1.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი აგებულია კურიკულუმში განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ერთიან სტრატეგიას. საგნობრივი თემატიკა, მიზნები და აქტივობები შეთანხმებულია კურიკულუმში გაწერილ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებთან, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლეთა განვითარებისთვის. **ინდიკატორი 2.2.1.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**

სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად — დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში, უმეტესწილად, ეყრდნობიან კურიკულუმში ასახულ მიზნებს, სამიზე ცნებებს, საკითხებს. ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს; ახორციელებენ კომპლექსურ/შემოქმედებით დავალებებს და სწავლების სხვადასხვა ფორმატს. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შემუშავებულიაა 2024-2025 სასწავლო წლისათვის.თუმცა, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, სასწავლო პროცესში ვერ განახორციელეს ყველა დაგეგმილი კომპლექსური დავალება.

	ზემოთქმულიდან და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე,მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს გარკვეული, ცვლილებები შეიტანოს საგნობრივ კურიკულუმებში. კათედრის სხდომის ოქმებით დასტურდება და მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა რომ სკოლაში არსებობს ურთიერათდასწრების პრაქტიკა, მასწავლებლები აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს. რომელსაც ითვალისწინებენ კურიკულუმების განხორციელების ეტაპზე. **ინდიკატორი 2.2.1.1. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დავალებებზე მუშაობის პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე. საჭიროებისამებრ ხდება გაკვეთილების დაწყვილება გადანაცვლება. დოკუმენტაციისა ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ადაპტირდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მდგომარეობის მიხედვით. პედაგოგები აქტიურად ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი აზრისა და ცოდნის გამოხატვის სხვადასხვა ფორმით, რაც ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებლების გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უწყობს ხელს გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით(შეფასების რუბრიკების ნიმუშები), კათედრამ შეიმუშავა

	ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, როგორი სახის შეფასების რუბრიკა უნდა შექმნან თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. **რჩევა:** კათედრის წევრებმა სამივე საფეხურისთვის უნდა შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **ინდიკატორი 2.2.1.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათერდის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ მოსწავლეთა შეფასება არის ვალიდური, რადგან მოსწავლეებმა იციან, რო შეფასდებიანანმხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახულ შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდებიან ისინი. იციან რ კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. **ინდიკატორი 2.2.1.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კათედრას შემუშავებული აქვს ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. თუმცა დაწყებით (V,VI) და საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გამოყენებულია მეტაკოგნიტური შეკითხვები, რაც ამოწმებს არა ფაქტობრივ ცოდნასა და

	კონკრეტულ უნარებს, არამედ მოსწავლის მიერ საკუთარი ნაშრომის შეფასებას და გააზრებას. ასევე, წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის (VI კლასი ,ინგლისური ენა) მიხედვით, შემაჯამებელში მოცემულია ორი დავალება, ხოლო ქულათა განაწილება ხდება 3 დავალებაზე. ანალიზის ფორმის დასაწყისში არსებული ყველა სამიზნე ცნება/ქვეცნება, არ შეესაბამება მოცემულ დავალებებს. **რჩევა:** განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამივე საფეხურზე (მაგ. I, II, X, XII კლასი, ინგლისური ენა) სამიზნე ცნებები გაწერეთ სრულად, ასევე აღწერეთ, კონკრეტულად რა მოლოდინები გაქვთ მოსწავლისგან - შესასწავლ საკითხთან მიმართებით. დაწყებით და საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კრიტერიუმებში უნდა დაკონკრეტდეს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ისახავდა მიზნად კონკრეტული დავალება. **ინდიკატორი 2.2.1.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებიდან გამომდინარე, სადაც გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები(გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.1.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, რაზეც მოწმობს კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რამდენიმე რუბრიკის ნიმუში, რომლებიც უშუალოდ დავალების კრიტერიუმებს ეყრდნობა.

	ინდიკატორი 2.2.1.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია
მათემატიკა	არგუმენტირებული პოზიციისას სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. **ინდიკატორი 2.2.1.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი 2.2.1.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს განმავითარებელი და განმსახღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც განკუთვნილია კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დროს შეფასების კრიტერიუმებისა და მოლოდინების გასაზიარებლად. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს, რაც ეხმარება სწავლის სწორ დაგეგმვას და თვითშეფასების განვითარებას. ასეთი მიდგომა ქმნის გამჭვირვალე და სამართლიან გარემოს, სადაც მოსწავლეები კარგად ხვდებიან, რაზე ეფუძნება მათი შეფასება. პედაგოგებმა წარმოადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

	განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, პედაგოგები იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს; თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა არ მიემართება მე-3 თაობის ესგ-თი და კომპ.ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, თანაც რუბრიკა შედგენილია 5 ბალიანი შეფასების სისტემის მიხედვით. **რჩევა:** სასურველია, მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაეყრდნოს კომპ.ტექნოლოგიების სტანდარტით გათვალისწინებულ ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს (ისევე, როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შემთხვევაში). ასევე, შესწორდეს წარმოდგენილ დოკუმენტში არსებული, ალბათ, უნებლიე შეცდომა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მოერგოს 10 ბალიან სისტემას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე რიგ საგნებში შეფასების რუბრიკები შეესაბამება დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებს. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები თვალსაჩინო

	ადგილასაა გაკრული, რაც განაპირობებს შეფასების სისტემის გამჭირვალობასა და სანდოობას. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, დავალების წარდგენის შემდეგ,მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს გასაუმჯობესებელ შედეგებზე, მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას. **ინდიკატორი 2.2.1.3. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

4. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს რეგულარულად ეცნობება მშობელს მოსწავლის შეფასების შესახებ, სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ეცნობიან სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლაში მოქმედ შეფასების სისტემას, ნიშნის ამაღლების წესს, სემესტრული გამოცდის დანიშვნის გზით და ა.შ. კათედრების სხდომებზე ანალიზდება დავალებები. შეფასების კუთხით, მშობლებთან დამყარებულია აქტიური უკუკავშირი თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

ინდიკატორი 2.2.1.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველჰყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. აღნიშნულის შესახებჩანაწერი გაკეთებულია ვერიფიკაციის წესში მუხლი N8. სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგებს შენახული ჰქონდათ მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვა და შემაჯამებელი სამუშაოები სადამრიგებლო კლასების სივრცეში.

ინდიკატორი 2.2.1.5. სტანდარტთან შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ნამუშევრები
- კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის წესი
- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებს რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- თვითშეფასების კითხვარი
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პორცესში გამოყენებული აქტივობები/მასალები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება მრავალფეროვან რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. ამის მტკიცებულებაა შემოქმედებით დავალებებში მოსწავლეების ნამუშევრები. **ინდიკატორი 2.2.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მატერიალური რესურსის სახით კი რუკებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ რესურსებს იყენებენ გეგმიურად და განსაზღვრავენ, რომელ ეტაპზე და როგორ გამოიყენოს თითოეული რესურსი **ინდიკატორი 2.2.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	კურიკულუმებში, სახელმძღვანელო გამოყენებულია, როგორც ძირითადი რესურსი, ის წარმოადგენს მთავარ საყრდენს და უშუალოდ უკავშირდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. კათედრა ასევე იყენებს დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას და მოსწავლეების ინტერესის გაღვივებას. კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული ბმულები საგანმანათლებლო ვიდეოების სახით, რაც ემხარება მოსწავლეებს სწავლის შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი 2.2.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული საგნებში გამოყენებული სასწავლო სახელმძრვანელოების ჩამონათვალით დასტურდება, რომ მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნებში სასწავლო პროცესში იყენებენ სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე

	სამინისტროს მიერ შექმნილ დამატებით აქტივობებს, ტელესკოლის ვიდეო რესურსებს და შემოქმედებით დავალებებს რომელსაც დიფერენცირებულად არგებენ სხვადასხვა კლასებს, ეს ასევე დასტურდება სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმით გაწერილი განვლილ სასწავლო წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების, პროექტების ნიმუშებიდან, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	მასწავლებლები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს ძირითად რესურსად. სწორედ ამ სახელმძღვანელოების გათვვალისწინებითაა წარმოდგენილი თემები და კონტექსტ მაგალითები, კომპლექსური დავალების იდეები. რესურსები, რომლებიც აღნიშნულია კურიკულუმის ჩარჩოში, ჩანს რამდენიმე დანართში, აქტივობების განხორციელების ეტაპზე. **ინდიკატორი 2.2.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
მათემატიკა	კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადი სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსებად გამოიყენება ძირითადად ციფრული რესურსები. დაწყებით საფეხურზე, 1-2 კლასებში სწავლებისათვის კურიკულუმით განსაზღვრული იყო არაგრიფირებული სახელმძღვანელო. **რეკომენდაცია:** სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდში უზრუნველყოფს ბაზაში ცვლილებების შეტანასა და სკოლის 1-2 კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას, კურიკულუმების კორექტირებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. საბაზო და საშუალო საფეხურზე შესაბამისობაშია;** **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით საფეხურზე მეტწილ შესაბამისობაშია.**

სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი 2.2.2.1. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილზე გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი ეყრდნობა კურიკულუმის მოთხოვნებს. ძირითადი რესურსები მოიცავს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ელ.რესურსს „school.emis.ge". ასევე, იყენებენ კომპიუტერული მეცნიერებების საერთაშორისო პლატფორმებს, მაგ: scratch.mit.edu და ა.შ აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დიფერენცირებასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას. **რჩევა**: სასურველია, კომპიუტერულ ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოების ბოლო, რესურსების სვეტში მეტად მკაფიოდ და ხაზგასმით დაკონკრეტდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული და ინტერვიუების დროს ნაწილობრივ აღნიშნული ელ. რესურსები და პლატფორმები, მაგ: school.emis.ge; Scratch..it.edu; Code.org; KhanAcdemy, YouTube და ა.შ. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, გამონაკლისია პირველი და მეორე კლასების მათემატიკა, რომელთა კურიკულუმები გაწერილია არაგრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ დამატებითი ელექტრონული რესურსებს არც ისე ხშირად

	გამოიყენებენ, ინტერნეტის ხარვეზის გამო. ამიტომ სასწავლო პროცესში ძირითადად ბეჭდურ დამხმარე რესურსებს იყენებენ. **რეკომენდაცია:** სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდში უზრუნველყოფს ბაზაში ცვლილებების შეტანასა და სკოლის 1-2 კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას, კურიკულუმების კორექტირებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. დაწყებით საფეხურზე მეტწილ შესაბამისობაშია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აკმაყოფილებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. რესურსები დახმარებას უწევს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ მრავალფეროვან აქტივობების განხორციელებაში, მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლიდა ,რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას,რადგან ის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დაცვისთვის ,რომ არ მიიღოს გადაუმოწმებელი არასწორი ინფორმაცია ,აღნიშნეს, რომ რესურსი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგნის კონკრეტულ თემატიკას ,ასაკობრივ დონეს და პროგრამას **ინდიკატორი 2.2.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**

უცხოური ენები	ინტერვიუს პროცესში, მასწავლებლები აღნიშნვენ, რომ იყენებენ დამხმარე გრამატიკული სახელმძღვანელოს (ინგლისური ენის გრამატიკა- Round Up 3) და ელ. რესურსებს მაგ. საგანმანათლებლო ვიდეოებს სასწავლო პროცესში. რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის მიერ. **ინდიკატორი 2.2.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი ხელოვნების და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი და სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი აქტივობები, შემოქმედებითი დავლაებები განხილულია და შესწავლილია კათედრის მიერ და აღნიშნული რესურსები ძირითადად შერჩეულია სამინისტროს რესურსებიდან და ტელესკოლის ვიდეო გაკვეთილებიდან, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები სკოლაში მოქმედებს კანონით დადგენილი ვადით, სკოლის პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს გრიფმინიჭებულ და საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოთა ნუსხას, რომლებსაც მასწავლებლები რეგულარულად იყენებენ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. **ინდიკატორი 2.2.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი შეთანხმებულია კათედრაზე. კათედრამ წარმოადგინა ოქმი, სადაც დასტურდება მათემატიკაში დამხმარე რესურსების შესაბამისობის განხილვისა და შერჩევის ფაქტი .

	ინდიკატორი 2.2.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი 2.2.2.2. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც მეტწილად უზრუნველყოფენ დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას და შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსების ჩამონათვალი შეთანხმებულია კათედრებზე. □კოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმი, წარმოადგინა ოქმი, რომლითაც დასტურდება დამხმარე რესურსების შესაბამისობის განხილვისა და შერჩევის საკითხი . □ასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას,რათა მოსწავლეებმა არ მიიღონ გადაუმოწმებელი და ცრუ ინფორმაცია . აღინიშნა ასევე,რომ რესურსი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგნის კონკრეტულ თემატიკას და უნდა იყოს მოსწავლის ასაკთან შესაბამისი. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **რეკომენდაცია:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საბაზო და საშუალო საფეხურისთვის შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2026 წლის 22 სექტემბრამდე, სკოლამ უნდა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა სტანდარტის მიხედვით: დაამონტაჟოს სველი წერტილი. **რჩევა:** მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი საფარი, დამონტაჟდეს ამწოვი კარადა. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია** **ინდიკატორი 2.2.2.3. საბაზო და საშუალო საფეხურზე მეტწილ შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებებით **ინდიკატორი 2.2.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მატერიალური რესურსით-სახელმძღვანელოებით, დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები, რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს.

	ინდიკატორი 2.2.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებელმა გასაუბრებაზე აღნშნა, რომ სკოლა მათ უზრუნველყოფს ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, ეს დასტურდება სახვით ხელოვნებასა და მუსიაკში სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმით გაწერილი განვლილ სასწავლო წელს უკვე განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების ნიმუშებით, აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია. **ინდიკატორი 2.2.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეთა ზღვრული ადგილების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს მოთხოვნილ რაოდენობაზე სწავლისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებსა და თვალსაჩინოებებს. **ინდიკატორი 2.2.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.

	ინდიკატორი 2.2.2.3. სამივე საფეხურზე შესაბამისობაშია
ტექნოლოგიები	დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით, სკოლაში სწავლების ეფექტიანობა ხელშეწყობილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური ბაზით. სასწავლო პროცესი არის უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკით, მოსწავლეთა რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლების სხვადასხვა ფორმებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს სკოლაში არსებული ინტერნეტის პრობლემა, რაც გარკვეულწილად მოქმედებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილის ხარისხზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში სკოლა იყენებს შესაბამის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის მიხედვით, დაწყებითი კლასების ყველა მოსწავლე სარგებლობს სკოლის მხრიდან მასზე გადაცემული სახელმძღვანელოებით. წავლებისას იყენებენ დამხმარე რესურსს,რომლებიც საკმარისი რაოდენობით აქვთ. **ინდიკატორი 2.2.2.3. დაწყებით საფეხურზე შესაბამისობაშია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

კომპიუტერული ტექნოლოგიები: ამ ეტაპზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს არ ასწავლის უშუალოდ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში სერტიფიცირებული პედაგოგი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის (2024-2025) მეორე სემესტრიდან საგნის საათები გადანაწილდა ორ პედაგოგზე (ისტორიის და ფიზიკის პედაგოგებზე), ვინაიდან კომპიუტერული ტექნოლოგიების სერტიფიცირებულმა პედაგოგმა სკოლა პირველი სემესტრის ბოლოს დატოვა, რადგან დაინიშნა ერთ-ერთი სკოლის დირექტორად. შესაბამისად, სკოლამ ვერ შეძლო მოკლე ვადაში კომპიუტერულ ტექნოლოგიებში

სერტიფიცირებული პედაგოგის მიღება (კადრი ვერ მოიძია, კადრების დეფიციტის და შემჭიდროვებული ვადების გამო) და დროებით შეუთავსეს საგნის საათები ფიზიკისა და ისტორიის პედაგოგს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფიზიკის პედაგოგს აქვს უფლება ასწავლოს კომპ.ტექნოლოგიებიც. *(ფიზიკის მასწავლებელი უფლებამოსილია იმავე ან/და სხვა საფეხურზე ასწავლოს მათემატიკა ან/და ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგანი/საგნები.)*

სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში კომპიუტერული ტექნოლოგიების ვაკანსიას გამოაცხადებენ ახალი სასწავლო წლისთვის (2025-2026).

ინდიკატორი 2.2.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხურის)
- რამდენიმე კომპლექსური დავალების დანართი.
- დებულება-სასწავლო რესურსებით სარგებლობის შესახებ
- ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და ელექტრონული ბმულების ნუსხა
- კათედრის ოქმები;
- საგანმანათლებლო რესურსები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- სასწავლო პროექტები;

- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა
- სპორტული ინფრასტრუქტურა და ინვენტარი
- სკოლის თვითშეფასება
- მასწავლებელთა სტატუსი/კვალიფიკაცია
- კომპიუტერული ტექნიკა
- *თემატური მატრიცა*
- განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა
- განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი დამატებითი აქტივობები და შემოქმდებითი დავალებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **რჩევა:** სასურველია, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პროცესი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი: ინსტრუმენტი, ფორმა, პერიოდულობა და ა.შ. ასევე, პირები, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული მონიტორინგის პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია მონიტორინგის პროცესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას, სასწავლო წლის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, რაც აუცილებლად აჩვენებს სკოლას გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებსა და შესაძლებლობებსაც.

ინდიკატორი 2.3.1.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერითა და დახმარებით. ყველა მასწავლებელთან

თანამშრომლობით შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მონიტორინგის განხორციელებისას მკაფიოდ განისაზღვრება საჭიროებები და დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები და საშუალებები.

ინდიკატორი 2.3.1.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კათედრების ანგარიშები;*
- *კათედრის სხდომის ოქმები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა ეყრდნობა როგორც მოხსენებებსა და ანგარიშებს, ასევე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციას, აკვირდება მათი მიღწევების დინამიკას. სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს სკოლაში პერიოდულად იმართება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან შეხვედრები, რომლებიც მსჯელობენ მოსწავლეების მიღწევებზე, ძლიერ და სუსტ მხარებზე და სახავენ სამომავლო გეგმებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. მართალია ეს შეხვედრები დოკუმენტში გაწერილი არ არის. სამომავლოდ სასწავლო პროცესის შეფასება დაეყრდნობა როგორც მასწავლებელთა თვითშეფასებას, ასევე მოსწავლეთა უკუკავშირებს და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების უკუკავშირებს.

ინდიკატორი 2.3.2.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა მუშაობას აფასებს როგორც აკადემიური საათების და აკადემიური მოსწრების მიხედვით, ასევე ითვალისწინებს დამატებით მუშაობას, ღონისძიებებს, მშობელთა და მოსწავლეთა განწყობას.

ინდიკატორი 2.3.2.2. სტანდარტთან შესაბამისობაშია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.3.2.3. სტანდარტთან შესაბამისობაშია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ვიზიტის დროს დირექციის წევრებმა აღნიშნეს, სკოლაში მნიშვნელოვანია მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესწავლა და გათვალისწინება. შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი.

ინდიკატორი 2.3.2.4. სტანდარტთან შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი;*
- *კათედრების ოქმები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წლის განმავლობაში კათედრების შეხვედრებზე პედაგოგები უზიარებენ გამოცდილებას საგაკვეთილო პროცესსა თუ წერებში გამოვლენილი საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ, რაც შემდეგ აისახება მომავალი სასწავლო წლის განახლებულ კურიკულუმებში.

ინდიკატორი 2.4.1.1. სტანდარტთან შესაბამისობაშია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტების მიერ ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კათედრების ანგარიშები;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: